ISSN 1987-5355
9 771987 535007
#52
2015
February, March, April

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN




JUNG
insto
"ჭკვიანი" სახლი


meteora

## რედაქციისგან!

2015 წლის დასაწყისისთვის კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გადავავლოთ ჩვენს თხუთმეტწლიან მოღვაწეობას, შევაჯეროთ და შევაფასოთ იგი.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის და ჟურნალი „სტილის“ სახელით, მადლობას გიხდით პარტნიორ კომპანიებს, მრავალწლიანი მხარდაჭერისთვის, ერთობლივი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის.

მადლობას გიხდით ყველა პროფესიონალს, რადგან მხოლოდ თქვენი უშუალო თანადგომით, თქვენი შემოქმედების მიმოხილვით არის ჟურნალი „სტილი“ აქტურლური და იმედია, ჩვენი ალიანსი, მომავალში, კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

მადლობას გიხდით პროფესიონალებს, მოგმართავთ თხოვნით, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება, შეხედულებები, აზრი დღეს, საქართველოს არქიტექტურულ და ქლამშენებლობით სინამდვილეში არსებულ პრობლემებზე თუ სინამდვილეზე; თბილისის განვითარების ტენდენციების შესახებ. მოგვაწოდოთ საინტერესო არქიტექტურული ხედვა თუ კონკრეტული წინადადებები ინტენსიური მშენებლობებისა და ძველი შენობების და ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის შესახებ.

თბილისის ისტორიული, თვითმყოფადი არქიტექტურის მქონე ქალაქის რეკონსტრუქციის პროცესს, რომელიც 2006 წლიდან დაიწყო, ერთდროულად ვერც მხოლოდ დადებითად და ვერც მხოლოდ ნეგატიურად შევაფასებთ. ამ ცვლილებებს გააზრება სჭირდება და, რაც მთავარია, პროფესიონალების მხრიდან მეტი ჩართულობა, რადგან დღემდე, ძირითადად, მხოლოდ სახელმწიფო აქტიურობდა, ის გეგმავდა და ის აკეთებდა.

ინტენსიური მშენებლობისა და ძველი შენობების რეკონსტრუქციის შედეგად, ფაქტია, რომ იქ ბევრი რამ გამოვიდა ზედმეტად მანერისტული, ეკლექტური მაშინ, როცა ძველი თბილისი ასეთი არასდროს ყოფილა. მას ძალით გალამაზება არ სჭირდებოდა, მას ისედაც ფანტასტიკური არქიტექტურა გააჩნდა. ახლა კი იქმნება ვითომ ახალი წარსული, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ აწმყოა. დამთვალიერებელი არ ტყუვდება ამ ეკლექტიკითა და ახლად შექმნილი სიძველეებით. მას ორიგინალური, ავთენტური სიძველეების დათვალიერება სურს და არა შენობების, რომლებიც გენეტიკურად იმ კონკრეტულ გარემოს არ ეკუთვნის.

რა თქმა უნდა აუცილებელია ყოველ ეტაპზე ახალი მშენებლობების დაწყება/განხორციელება, მაგრამ, სასურველია მეტი დისკუსია, მეტი წინასწარი განხილვა უსწრებდეს წინ თითოეულ გადაწყვეტილებას, რათა არ დავარღვიოთ ძალიან ფაქიზი ბალანსი ბუნებრივ ისტორიულ გარემოს, მოსახლეობასა და მათი ქმედების არეალს შორის. აუცილებლად უნდა იქნას შემუშავებული გლობალური ურბანული განვითარების სისტემა.

დღევანდელი ტენდენცია კი ასეთია: არქიტექტურული სტილი იკარგება და ძველ ქალაქი კარგავს თავის სახეს.. ქალაქს უნდა შეუნარჩუნდეს თავისი უნიკალურობა და ამავე დროს უნდა განვითარდეს. დღევანდელი მშენებლობა არ არის მოქცეული ერთ სისტემაში, რის გამოც ალბათ, ზოგადი კონცეფციის არარსებობის გამო იგი იწვევს მძაფრ რეაქციებს და კრიტიკას.

მთავარია, ქალაქმშენებლობის და არქიტექტურულ საკითხებს პროფესიონალები წყვეტდნენ. დღესდღეობით, ამ სფეროში შექმნილ პრობლემებზე არსებობს მხოლოდ პროტესტი და არა მაღალი თვითორგანიზაციის უნარი. ამ მდგომარეობას ხელისუფლება ყოველთვის გამოიყენებს და თავის წესრიგს შემოგვთავაზებს. წესრიგი კი მაშინ გახდება ჩვენი, როცა მის შექმნაში ჩვენვე მივიღებთ მონაწილეობას.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის და ჟურნალი „სტილის“ რედაქციის სახელით, წინასწარ გიხდით მადლობას საინტერესო შემოთავაზებებისა და წინადადებებისთვის! გისურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში!

AAG
Association of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

www.archias.ge


**გამომცემელი** - **საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია** და დიმიტრი მოსულიშვილი

**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე

**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ბეჟან ზეიკიძე, ირაკლი მურღულია, ირინე შარაშენიძე, მედეა მელქაძე

**თარგმანი** - ნატა ქურთანიძე

**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე

**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკა ჯავახიშვილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** & Dimitri Mosulishvili

**EDITOR -** Nino Laghidze

**INFORMATION -** Nino Laghidze, Bezhan Zeikidze, Irakli Murgulia, Irine Sharashenidze, Medea Melkadze

**TRANSLATION -** Nata Kurtanidze

**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze

**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Eka Javakhishvili



0186 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #70ა
Tel: 593 42-74-73; 599 10-56-03; 558 28-29-30
70a Vaja-Pshavela ave, 0186 Tbilisi, Georgia.

http://www.archias.ge
http://www.archiaward.com
E-mail: laghidze.n@gmail.com, nino@archias.ge



**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**


## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტორთა კლუბი და ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!


ახალი ნათება
ფორუმი
NÖRYA
მაღალი ხარისხი
უკვე ხელმისაწვდომია


www.archias.ge
AAG
STYLE
STYLE
www.archias.ge
593 427 473


Alpina
მაღალი ტენიანობის მქონე ოთახებისათვის
ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი




The absolute ruler of the colour spectrum, red - precisely because it is so dominant - brings a touch of risk to interior design. The appassionato in music, a symbol of vigour, passion, creativity and masculinity, red is an unending challenge for designers, because it activates a desire to tame and subdue it to suit their own creative imperatives.

In its latest collection Meteora, one of the most prominent Italian interior design brands, daringly accepted this challenge, covering living spaces with fabrics and accessories featuring a palette of shades of red. Subtle differences in hue highlight prominent and dominant features and create a passionate micro-universe that is erotic in the most elegant sense of the word. This is enhanced by a plethora of blood-coloured roses which, with their strong and complex symbolism, contribute to this feeling of vitality with a flow of positive and comforting energy.

However, in order not to disconcert the colour chart with an excessive exuberance of red, Meteora's designers have set it against the clean brightness of white and neutral tones, thus creating a balanced environment that is still luxurious, glamorous and extremely stimulating.





BERENICESofa with a touch of 19th century in the shape and traditional craftsmanship of the soft capi-tonné.cm 190/235/250 x 100 x H 90



CIROElegant simplicity for this linear two seater sofa covered with pearl grey velvet. Upon demand the cover may also be fixed or removable.
cm 270 x 107 x h.85

**The style by Softhouse represents a tendency to simplicity: we prefer classic forms and proportions with contemporary reinterpretations for the use of chromatisms which match neutral tones of ecru and grey and very colorful tones of accessories and decoration.**



CHEST OF DRAWERS CROSSING
This storage unit, with two drawers made of solid wood and laminated wood, is strong but with an indefinite form as well: the finishing is embossed, mat and black. cm 120 x 48 x H68

LIVIARetro lines for this wing chair which is covered with velvet and offered in an appealing turquoise shade; the wooden feet have a mat black finishing.
cm 93 x 82 x H89





TOBIA Enveloping and seductive lines for the wide sofa covered with dove-grey velvet, with the shaped back in order to increase the feeling of welcome and comfort. cm 265 x 135 x h.80



TOBIAIt is a very comfortable armchair with enveloping lines and covered with acid green linen. It is suitable for wide and exclusive spaces where it is possible to best express an idea of luxury. cm 105 x 100 x H75

TONDA
A playfull dive into 1950s fashion with no sharp corners in the fully rounded backrest.
cm 83 x 80 x H80





VICOA happy flashback to 1970s design to give a comfy sofa completely upholstered in down.
cm 220/250 x 105 x H78



CIRO CHAISE LONGUE
WITH BEAN BAG CHAIR
The chaise longue made of pearl grey silk is sophisticated and super comfortable. It is a timeless classic for the living rooms. The cover may be fixed or removable cm 292 x 107 x h.85

**SOFTHOUSE Via Livornese Est 41, 56030 Perignano (PI) tel.+39 0587 617647 sotfhouse@softhouse.pisa.it www.softhouse.pisa.it**
**PRESS OFFICE: Fabio Luciani Comunicazione – www.fabioluciani.it – lorenza.micheletti@fabioluciani.it**

# www. archias.ge




მზადდება წიგნის მეორე ნაწილი

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით:

e-mail: laghidze.n@gmail.com

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ა
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

**“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book**

Project organizers: STYLE Magazine, Association of Architects of Georgia

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
70a Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia;
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Mob. +995 593 42-74-73; +995 599 10-56-03



PLACE WHERE YOU ARE WAITED FOR...
ადგილი, სადაც გელოდებიან...
TODAY IS THE DAY
LABORATORY
MY HOME
ლაბორატორია
ჩემი სახლი
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. Aghmashenebeli alley 12th km.
ი. ჭავჭავაძის გამზ. 37 ლ (სუპერმარკეტი „სმარტი", მე-2 სართული)
37 L I. Chavchavadze ave. (Smart Supermarket, 2nd floor)
ც. დადიანის 7 (სავ. „ქარვასლა", 0 სართული) 7 Ts. Dadiani st. (Karvasla mall, 0 floor)
ბათუმი: ზუბალაშვილის 37 Batumi: 37 Zubalashvili st.
WWW.ICR.GE ICRCORPORATION LABORATORYMYHOME




# ლაბორატორია
## ჩემი სახლი

### ბრენდი, რომელიც ქმნის ცხოვრების სტილს

„ლაბორატორია ჩემი სახლი" ქართული ბრენდია, რომელიც [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. „ლაბორატორია" [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] 15 [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible].

# თანამშრომლობის შეთავაზება

შპს „საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ-ი (სავაჭრო ცენტრი „ჩემი სახლი", ინტერიერის აქსესუარების ინოვაციური პროექტი – „ლაბორატორია ჩემი სახლი") თანამშრომლობას სთავაზობს დიზაინერებს და არქიტექტორებს სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს.

ურთიერთთანამშრომლობის უპირატესობებს წარმოადგენს შემდეგი:

- ინდივიდუალური მიდგომა,
- ყოველთვიური ბონუსები,
- ყოველთვიური პროექტები.

თანამშრომლობის პროექტის ბიუჯეტი, თუ დიზაინერის მიერ წარმოდგენილი ფასიან-პროექტის ბიუჯეტი 70% დაკომპლექტდება „ლაბორატორია ჩემი სახლის" ავეჯით და აქსესუარებით, დარჩენილი ფასიან-პროექტის ბიუჯეტის 30%-ის ფარგლებში, ასევე ეძლევა, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე პროექტის ბიუჯეტი ყოველთვიურად ერთჯერადი ბონუსის სახით.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელ-ფოსტაზე:**
**tgiorgadze@icr.ge**







WWW.ICR.GE ICRCORPORATION LABORATORYMYHOME



# GROHE გერმანიის მდგრადი განვითარების პრემიის ლაურეატთა სამეულშია

## რესურსების ეფექტური მოხმარება საკვანძო მნიშვნელობის საკითხია ჩვენი კომპანიის მენეჯმენტისთვის

Grohe AG, ონკანებისა და სან.კვანძების გარნიტურის წამყვანი საერთაშორისო მომწოდებელი, გერმანიის 2014 წლის მდგრადი განვითარების პრემიის ლაურეატთა სამეულშია. წყლისა და ენერგიის მოხმარების საკითხის მიმართ სათუთი დამოკიდებულების წყალობით, GROHE-მ, ორ სხვა კომპანიასთან ერთად, გაიმარჯვა გერმანიის მდგრადი განვითარების პრემიის საკონკურსო ნომინაციაში „რესურსების ეფექტური მოხმარება“. გამარჯვებულთა დაჯილდოვება მოხდა საზეიმო გალა-ცერემონიაზე დიუსელდორფში, 2014 წლის 28 ნოემბერს.

GROHE ცნობილია უნიკალური ინოვაციური ტექნოლოგიებით, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეამციროს წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარება. კომპანიის მიერ წარმოებული ონკანები, შხაპები, თერმოსტატები და სანიტარული ხელსაწყოები დამზადებულია წყლის დამზოგავი ტექნოლოგიებით, როგორიცაა, მაგალითად GROHE EcoJoy®, რომლის მეშვეობითაც 4-სულიან ოჯახს შეუძლია წელიწადში 63000 ლიტრამდე წყლისა და 1300 კილოვატამდე ელექტროენერგიის დაზოგვა. კომპანიის ბოლოდროინდელი სიახლეებიდან ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღებია წყლის სისტემა GROHE Blue®, რომელიც აწვდის მომხმარებელს სამი სახეობის ცივ და გაფილტრულ სასმელ წყალს პირდაპირ ონკანიდან, თანაც იგი გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს, ვიდრე ჩვეულებრივი მინერალური წყლის ბოთლებში ჩამოსხმის პროცესი. სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციისა და სისტემების მწარმოებელი არანაკლებ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს საკუთარ საწარმოებში, რომლებიც რესურსების მეორადი მოხმარების მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან.

## მდგრადი განვითარების მომხრე კომპანია

დიუსელდორფის „მარიტიმ ოტელში“ ჩატარებულ დაჯილდოების ცერემონიას 1200-მდე სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მუნიციპალური მუშაკები, პოლიტიკოსები, მკვლევარები და სოციალურ სფეროში მოღვაწე პროფესიონალები. „სამწუხაროდ, მდგრადი განვითარების თემა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე გათავისებული ჩვენს საზოგადოებაში,“ - განაცხადა Grohe AG-ს მმართველი საბჭოს წევრმა მაიკლ რაუტერკუსმა, - „მაგრამ თვითონ GROHE-ს ეს საკითხი დამკვიდრებული აქვს როგორც თავის საორგანიზაციო სტრუქტურაში, ისე წარმოებაში. მდგრადი განვითარების იდეას ყველა ჩვენი თანამშრომელი იზიარებს. გერმანიის მდგრადი განვითარების პრემიის ლაურეატთა სამეულში მოხვედრა დამატებით სტიმულს მოგვცემს, რათა გავაგრძელოთ მომავალზე ფიქრი და გავატაროთ რესურსების ეფექტური მოხმარების იდეა მრეწველობის ჩვენს სფეროში.“

ღონისძიებას მასპინძლობდა პრემიის დამაარსებელი, მეცნიერების სფეროში მოღვაწე სატელევიზიო ჟურნალისტი სტეფან შულცე-ჰაუსმანი. სცენაზე მას შეუერთდა პოპულარული მწერალი ჰენინგ მანკელი, კინოაკადემიის ლაურეატი მსახიობი კოლინ ფერთი თავის მეუღლე ლივიასთან ერთად, გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი ჰორსტ კიოლერი და ლეგენდარული სპორტსმენი ქალბატონი კატარინა ვითი.

გერმანიის მდგრადი განვითარების პრემია გახლავთ ფონდ „Stiftung Deutscher Nachhaltigkeitspreis e.V.“-ს ინიციატივა, რომელიც ხორციელდება გერმანიის სახელმწიფოსთან ერთობლივად და სარგებლობს მუნიციპალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საქმიანი და სამრეწველო გაერთიანებების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და კვლევითი ინსტიტუტების მხარდაჭერით. 2014 წელს კონკურსი მეშვიდედ ჩატარდა.



GROHE
Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation GmbH
Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

ბილდინგ დეპოსი საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

იდეალი IDEAL საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

GORGIA საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

SIDO საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# GROHE და RD Group ახორციელებენ საერთაშორისო სკოლა United World Colleges მშენებლობის პროექტს ქ. დილიჟანში (სომხეთი)

### დილიჟანში არსებულ საერთაშორისო სკოლაში დამონტაჟდა GROHE-ს ინოვაციური აღჭურვილობა

დილიჟანი არა მარტო არქიტექტურით და ჰავით გამოირჩევა, ეს სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური ქალაქიცაა. აქ ცხოვრობს მრავალი ცნობილი სომეხი მეცნიერი, რეჟისორი, მუსიკოსი და მხატვარი. შეიძლება სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი საერთაშორისო სკოლა United World Colleges-სთვის ადგილის შერჩევის საქმეში.

დილიჟანში არსებული სკოლა United World Colleges (UWC Dilijan) მასშტაბური საქველმოქმედო ინიციატივა გახლავთ. სომხეთში სკოლის გახსნის იდეა ეკუთვნის ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს რუბენ ვარდანიანს და მის მეუღლეს ვერონიკა ზონაბენდს.

დილიჟანში ახლად გახსნილი სკოლა United World Colleges საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის „United World Colleges" სრულუფლებიანი წევრია. UWC-ს კოლეჯები სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებს სთავაზობენ უნიკალურ გამოცდილებას, ხელს უწყობენ სერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბებას და აზიარებენ ახალგაზრდებს ერთობლივ საქმიანობას მშვიდობიანი და სტაბილური მომავლისთვის. UWC-ს საგანმანათლებლო დაწესებულები გაბნეულია ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის 14 ქვეყანაში.

### ინვესტიციები და მშენებლობა

დილიჟანში საერთაშორისო სკოლის კაპიტალური მშენებლობის ბიუჯეტი შეადგენს 190 მილიონ აშშ დოლარს. პროექტი ხორციელდება სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის მხარდაჭერით.

სკოლის მშენებლობა ორ ეტაპს მოიცავს: 2014 წლის შემოდგომაზე ექსპლუატაციაში ჩაბარდა პირველი რიგის ნაგებობებათა კომპლექსი საერთო ფართობით 37000 კვ.მ.; 2017 წელს დასრულდება სკოლის დანარჩენი ნაწილის მშენებლობა (საერთო ფართობი - 32000 კვ.მ.). პროექტის ჯამური ფართობია 69000 კვ.მ.

სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსების გარდა, სკოლის ტერიტორიაზე ასევე განთავსდება დახურული ბასეინი, სპორტული მოედნები, სცენიური ხელოვნების ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსი და სამედიცინო ცენტრი.

„UWC diliJanis" მშენებლობა ხორციელდება წამყვანი არქიტექტურული ბიუროს „Tim Flynn Architects"-ის (ლონდონი) პროექტით.

პროექტის ინვესტორი, კონტრაქტორი და მომავალი მმართველი გახლავთ ჰოლდინგი RD Group: მმართველი კომპანია RD არის პროექტის თანაინვესტორი, სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს RD Construction, ხოლო კომპლექსის ექსპლუატაციას გაუძღვება კომპანია RD Management.

### ტექნოლოგიები და არქიტექტურა

საერთაშორისო სკოლა „UWC diliJanis" ნაგებობათა ნაწილმა დაიწყო ფუნქციონირება 2014 წლის შემოდგომაზე.

სკოლის მაღალტექნოლოგიური შენობები აგებულია უახლესი, ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან და დაპროექტებულია ისე, რომ შეინარჩუნოს ეკოლოგიური წონასწორობა ნაკრძალის ზონაში.

სკოლის კორპუსების მშენებლობა ხორციელდებოდა რთულ კლიმატურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებში (მ.შ. სეისმური აქტივობა, გრუნტის წყლები, სამშენებლო ნაკვეთის მდებარეობა ციცაბო ფერდობზე).

დილიჟანის ეროვნული ტყე-პარკის მოსაზღვრე კოლეჯის შენობები ორგანულად ერწყმის მთიან ლანდშაფტს. ეკო-ბალანსის დაცვისა და სომხეთის ამ უნიკალური კუთხის არქიტექტურული სახის შენარჩუნებას ემსახურება უმცირესი დეტალებიც კი: მაგალითად, კორპუსების სახურავებზე მოწყობილი მწვანე გაზონები ალპურ მდელოებს წააგავს.

კომპლექსი „UWC diliJani" ნოლიდან აშენდა, მაგრამ მთიანი ლანდშაფტის ამ მონაკვეთზე მოხერხდა თანამედროვე საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა

სკოლის მაღალტექნოლოგიურ ეკო-კონცეფციას აგრძელებს კომპლექსის ნაგებობების ტექნიკური აღჭურვილობა. პროექტის პარტნიორად მოგვევლინა კომპანია GROHE, რომელმაც „UWC diliJans" თავისი ნაწარმის უახლესი კოლექციები შესთავაზა.

### GROHE-ს თანამედროვე ტექნოლოგიები პროექტში „UWC diliJani"

საერთაშორისო სკოლის შენობები აღიჭურვა GROHE-ს ბოლო კოლექციების მოდელებით. სხვადასხვა დანიშნულების სივრცეებში დამონტაჟდა GROHE-ს ინფრაწითელი ელექტრონიკა ონკანებისთვის Euroeco Cosmopolitan E, ერთბერკეტიანი შემრევები Eurosmart Cosmopolitan მკაცრი გეომეტრიული ფორმებით, აბაზანისა და შხაპის შემრევები GROHE Essence, შხაპის გარნიტურები GROHE New Tempesta და შხაპის სისტემები თერმოსტატით GROHE Euphoria System 180.

Euroeco Cosmopolitan E-ს შემრევებში ჩაშენებულია ინფრაწითელი სენსორები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკონტაქტო მართვას - ეს ოპტიმალური გადაწყვეტაა საზოგადოებრივ სივრცეებში არსებული საპირფარეშოებისთვის.

შემრევები GROHE Essence ინტერიერს თანამედროვე ურბანიზმის ჟღერადობით ამდიდრებს. კოლექციის გაწონასწორებული დიზაინი ასახავს თანამედროვე კოსმოპოლიტური სტილის განსახიერებაა, ხოლო ტექნოლოგია GROHE SilkMove® უზრუნველყოფს წყლის ნაკადის მართვას ბერკეტის ერგონომიული სახელურის მეშვეობით.



გრძელი სასწავლო დღის დასაწყისში ან ბოლოში, აქტიური ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ან უბრალოდ მაშინ, როდესაც ადამიანს მოშვება და ძალების აღდგენა სურს, GROHE Euphoria-ს საშხაპე სისტემები მოწინავე დიზაინით ჭეშმარიტ სიამოვნებად აქცევს შხაპის მიღების პროცესს. კედლის შხაპის ფორმა იდეალურად ეხამება მრავალი პროფესიული პრიზით დაჯილდოვებულ Euphoria-ს ხელის შხაპის დიზაინს.

GROHE-ს პროდუქციის ძირითადი უპირატესობა უნიკალური ტექნოლოგიებია. ტექნოლოგია GROHE DreamSpray® უზრუნველყოფს წყლის თანაბარ განაწილებას შხაპის ბადეში; ტექნოლოგია GROHE CoolTouch®-ის წყალობით შეგიძლიათ შხაპის შტანგას და კორპუსს შეეხოთ ისე, რომ ხელი არ დაგეთუთქოთ, რადგანაც მათი ზედაპირის ტემპერატურა წყლის ტემპერატურას არასდროს არ აღემატება. ტექნოლოგია GROHE StarLight® უზრუნველყოფს ქრომირებული მოდელების ბზინვარების შენარჩუნებას მრავალი წლის მანძილზე.

„UWC დილიჟანთან" თანამშრომლობით, GROHE-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი კომპეტენტურობა მაღალი დონის ობიექტების აღჭურვაში და დაინტერესება თანამედროვე არქიტექტურულ პროექტებთან თანამშრომლობისკენ მისწრაფება.

### სოციალური პასუხისმგებლობა

არქიტექტურული უნიკალურობის გარდა, პროექტ „UWC diliJans" მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გამოარჩევს. RD Group-ის მიერ საერთაშორისო სკოლის მშენებლობის შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა 1000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. თანამშრომელთა 99% სომხეთის რეზიდენტებია; მათგან 30% - დილიჟანის მაცხოვრებლები. პროექტის რეალიზება საშუალებას აძლევს თანამშრომლებს (როგორც მშენებლებს, ისე ადმინისტრატორებს) აიმაღლონ კვალიფიკაცია, რადგანაც „UWC დილიჟანის" მშენებლობა ხელს უწყობს სომხეთის სამშენებლო ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლებას.




GROHE
Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation GmbH
Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის
ბაღის მიმდებარე ტერიტორია

საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის
გამზ. 140.

საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.

# ხელმისაწვდომი ფუფუნება ინდივიდუალისტებისთვის



**GROHE ონკანების ახალი ხაზი Eurodisc Joystick - თანამედროვე, მოსახერხებელი სამუშაო მექანიზმისა და პრემირებული დიზაინის კომბინაცია**

ყველასათვის ნაცნობი კლასიკური ონკანის ახლებურ ინტერპრეტაციად მოგვევლინა ფორმისა და ფუნქციის ეს უნაკლო კომბინაცია თავისი დინამიური, მოხდენილი სილუეტით, უნატიფესი მგრძნობიარე ჯოისტიკით და ელეგანტური ხაზებით. თუ გამორჩეულ დიზაინს ეძებთ, შეაჩერეთ თქვენი არჩევანი „GROHE"-ს „Eurodisc Joystick"-ზე - ვიზუალური სიმსუბუქე და მარტივი მოხმარების პრინციპი „Eurodisc Joystick"-ს აშკარა უპირატესობას ანიჭებს მსგავსი კატეგორიის სხვა პროდუქტებთან შედარებით.

**გონივრულად მოფიქრებული დეტალები, მკაფიო არქიტექტურა**

ახალი „Eurodisc Joystick" ამშვენებს სააბაზანო ოთახს და ზრდის კომფორტის ხარისხს. ამ ხაზის ონკანების დიზაინის ცენტრალური კომპონენტია მინიმალისტური, სრულად რეგულირებადი ჯოისტიკი. მისი გამორჩეული ერგონომიული თვისებები და „GROHE"-ს მსუბუქი მოძრაობის ინოვაციური ტექნოლოგია „SilkMove®" წყლის ნაკადის მართვის საქმეს თითო შეხებით აგვარებს. ამავე დროს, „GROHE"-ს წყლის დამზოგავი ტექნოლოგია „EcoJoy®" ხელს უწყობს წყლისა და ენერგიის ეკონომიურ მოხმარებას. მოცემული ხაზის კედელში ჩასაშენებელ ონკანებს გამოარჩევთ წყლის შერევის დამატებითი ტექნოლოგია „AquaGuide"; გარდა ამისა, ტექნოლოგია „SpeedClean" ხელსაწყოს საიმედო და ხანგრძლივი ფუნქციონირების გარანტიაა.

ამ ულამაზესი დიზაინის მქონე პროდუქტს უამრავ სხვა დეტალს ამჩნევია „GROHE"-ს დიზაინერული სტუდიის ხელი. მაგალითად, ქრომის რკალი, რომელიც გარს ერტყმის ბერკეტს, ან ონკანის კორპუსის 7-გრადუსიანი დახრა, რომელიც მომხმარებელს უფრო აქტიური ურთიერთობისთვის განაწყობს - ყოველივე ეს „GROHE"-ს დიზაინერული დნმ-ის ტიპიური ელემენტებია. ახალმა დიზაინმა უკვე ჰპოვა სათანადო აღიარება „რედ დოტ"-ის სამრეწველო დიზაინის კონკურსზე.

**სიბარიტობის ხარისხში აყვანილი არჩევანის მრავალფეროვნება**

„Eurodisc Joystick"-ის პროდუქციის ხაზი მოიცავს ვარიანტების სრულ სპექტრს სააბაზანო ოთახის სხვადასხვა ზონებისთვის. მომხმარებლებს შეუძლიათ აირჩიონ ერთბერკეტიანი შემრევები სამი სხვადასხვა სიმაღლის ონკანით, ან კედელში ჩასაშენებელი ორლიობიანი ბრტყელი ვარიანტები, რომლებიც შესანიშნავად ეხამება ნებისმიერ ხელსაბანს სწორად გათვლილი პროპორციებისა და შხეფებისგან დაცვის წყალობით.

„GROHE" ასევე სთავაზობს მომხმარებელს უნიკალური ჯოისტიკით მართულ კედლის შხაპებს და აბაზანის აქსესუარებს. რაც შეეხება ფერთა პალიტრას, ონკანების ამ ხაზს აქვს ორი ვარიანტი: ქრომირებული „GROHE StarLight®" და ქრომისა და თეთრის კომბინაცია „Chrome/Moon White", რომელიც იდეალურად ეხამება ქრომის/თეთრ შხაპებს და თერმოსტატ „Grohtherm 3000"-ს.

„GROHE"-ს ახალი ხაზი „Eurodisc Joystick" გამოირჩევა ხარისხით, უკომპრომისო ფუნქციურობით და დახვეწილი დიზაინით. ეს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე თანამედროვე პროდუქტი თავის ადგილზე იქნება როგორც მოდერნულ, ისე ფუტურისტულ სააბაზანოში.



GROHE
Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation GmbH
Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

IDEAL საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

GORGIA საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

SIDO საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.



# GROHE SPA®-ს არსი: სრული რელაქსაცია პერსონალიზებულ სააბაზანო ოთახში



**მოწიფული ასაკის გამოცდილი პიროვნება ხართ თუ წვრილშვილიანი ოჯახით დახუნძლული ახალგაზრდა პროფესიონალი, თქვენს საჭიროებებზე მორგებული სპა-მომსახურეობა ასმაგად უფრო სასიამოვნოს გახდის თქვენს ცხოვრებას.**

ყოველდღიური ცხოვრების გიჟური ტემპის გამო, ჩვენი სხეული და გონება მუდმივი წნეხის ქვეშაა, და ჩვენ ყოველთვის ვისწრაფვით სიმშვიდისა და დასვენებისკენ. საკუთარ სახლში ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სპა-ცენტრის მოწყობა ამისთვის საუკეთესო საშუალებაა. სახლის სპა-სააბაზანო სრულიად პრივატულია და დღეში 24 საათის განმავლობაში თქვენს განკარგულებაშია.

### ის, რაც სხვადასხვა თაოზებს ერთნაირად იზიდავს

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ელიტური სააბაზანო ალბათ ბოლო პრივატული კუთხეა ჩვენს თითქმის მთლიანად გასაჯაროებულ და სოციალურად აქტიურ ცხოვრებაში. ყოველდღიური სტრესისგან განრიდების შესაძლებლობას განსაკუთრებით აფასებენ ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანები - ცხოვრების ეს მონაკვეთი ხომ ყველაზე დაძაბული და გამოწვევებით სავსეა: კარიერული კიბის პირველი საფეხურები უკვე ავლილია, სამაგიეროდ ადამიანს უწევს ოჯახის მოთხოვნილებების, სამსახურისა და დასვენების საჭიროების ერთმანეთთან შეჯერება. სახლის სააბაზანოში სტრესის მოხსნის თანამედროვე საშუალებების ძიებისას, ასეთი ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ მოწინავე ტექნოლოგიებს და მრავალფეროვნებას, რაც არა მარტო ეხმარება მათ ტონუსის ამაღლებაში, არამედ აძლევთ საშუალებას საკუთარი გემოვნებისა და მოთხოვნილებების შესაფერისი გარემო მოიწყონ.

„გვეყო კოპრომისები,“ - უმეტესად ასეთი დევიზით ხელმძღვანელობენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. სხვა ყველაფერთან ერთად, ეს ეხება მათ ფიზიკურ ფორმას და კეთილდღეობასაც. ცხოვრების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ ზუსტად, დეტალებში იციან როგორ და სად განახორციელონ თავიანთი მოთხოვნები. შესაბამისად, თანამედროვე სააბაზანო მკაფიოდ ასახავს დემოგრაფიული ფონის ცვლილებებს და არსებულ სოციალურ ტენდენციებს. 50-60 წელს გადაცილებული ადამიანები სულ უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ მიაღწიეს საუკეთესო ასაკს და შეიძინეს თვითგამოხატვის, თავისუფლების, ფიზიკური ფორმის დახვეწის და განჭვრეტის უფლება. ბევრი ოჯახი, რომელიც ეს-ესაა დაემშვიდობა დამოუკიდებელი ცხოვრების სურვილით შეპყრობილ ახალგაზრდა წევრებს, სარგებლობს ამ შემთხვევით სტანდარტული აბაზანის სპა-სააბაზანოდ გადასაკეთებლად.

ამრიგად, საკუთარ სახლში სპა-ცენტრის შექმნისას სხვადასხვა პიროვნებების, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლების მოტივაცია განსხვავებულია. საბედნიეროდ, GROHE SPA®-ს პროდუქციის ფართო არჩევანი იძლევა ყველანაირი სურვილის ასრულებისა და კონკრეტულ პიროვნებაზე ორიენტირებულ კეთილდღეობის ოაზისის შექმნის საშუალებას.

### ინდივიდუალური დიზაინი

„როგორი უნდა იყოს ჩემი ოცნების სააბაზანო ოთახი?“ - სწორედ ამ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას უნდა უპასუხოს ადამიანმა, როგორც კი დაიწყებს ფიქრს სააბაზანოს გადაკეთებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მოდაშია გახსნილი სივრცეები, ბევრი ჩვენთაგანი აბაზანას ჯერ კიდევ თვლის განმარტოების, სხვებისგან გარიდების ადგილად, ურჩევნია, რომ სააბაზანოში შესვლისას კარი მიიხუროს, პირისპირ დარჩეს საკუთარ „მე“-სთან და მთელი ყურადღება მიუძღვნას საკუთარ თავს და საკუთარ საჭიროებებს. შესაბამისად, მოცემული სივრცე უნდა დაიგეგმოს ამ საჭიროებების გათვალისწინებით, და მისთვის შერჩეული ნებისმიერი აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს ამ ფაქტორებს.

დეკორი და დიზაინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნული თვისებების გამოხატვისას. მთავარია ლამაზი სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ყველა კომპონენტს, წყლის ნიჟარიდან დაწყებული და აბაზანა-შხაპით დამთავრებული. ამ ამოცანას საგრძნობლად ამარტივებს GROHE SPA®-ს ხაზებში არსებული ერთმანეთის შესაფერისი ონკანებისა და გარნიტურის ფართო ასორტიმენტი. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ კლასიკური და ელეგანტური GROHE Grandera™, ან Allure თავისი არქიტექტურული ხაზებით, ან GROHE Ondus®-ის მგზნებარე მინიმალიზმი, ან თუნდაც Atrio-ს პურისტული სილუეტები, მაგრამ სხვადასხვა დიზაინების და ვარიანტების მრავალფეროვნება გიმარტივებთ ერთმანეთის შესაფერისი ონკანებისა და გარნიტურის შერჩევას და საუკეთესო, სწორედ თქვენთვის განკუთვნილი სააბაზანო ოთახის შექმნის ამოცანას.

### მაქსიმალური კომფორტი და ჰიგიენა

უნიტაზსაც კი შეუძლია ითამაშოს განსაკუთრებული როლი სპა-სააბაზანოში. უნიტაზი-ბიდე GROHE Sensia® IGS მარტივს და კომფორტულს ხდის პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეს. ამ შემთხვევაშიც, პროექტის ამოსავალი წერტილი კომფორტი და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაა. ხელსაწყოს სენსორულეკრანიანი დისტანციური მართვის პულტი გაძლევთ საშუალებას დაიმახსოვროთ წყლის ჭავლის სხვადასხვა რეჟიმები, რომლებიც ამოქმედებაც შესაძლებელია ღილაკის ერთი შეხებით.

### დეტალების მიმართ სათუთი დამოკიდებულება

ბუნებრივი მასალებისგან - ხისგან, ქვისგან, მინისა თუ თექისგან დამზადებული ესთეტიურად სასიამოვნო აქსესუარები საუკეთესოდ ეხამება სპა-სააბაზანოს ატმოსფეროს.

GROHE SPA®-ს პერსონალიზებული სააბაზანო შესანიშნავი არჩევანია სხვადასხვა თაობების წარმომადგენლებისთვის - როგორც ოცდაათ წელს ოდნავ გადაცილებული, კარიერული წინსვლით და ოჯახური პრობლემებით დახუნძლული პროფესიონალებისთვის, ისე დალვინებული, მოწიფული ასაკის ადამიანებისთვის.



GROHE
Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation GmbH
Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

საქართველო, თბილისი, 0105
მარჯვანა სანაპირო, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია

IDEAL საქართველო, თბილისი, 0159.
დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-9 კმ.

GORGIA საქართველო, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 140.

SIDO საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ.8.
საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზ.116.
საქართველო, თბილისი, აგლაძის 7ა.
საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19.



# Steelcase

სერტიფიცირებულია

Office Furniture, Interior & Design



Love how you work.

Office Technologies
4 Freedom Square
0105 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 299 99 80
Email: info@officetechnologies.ge
www.officetechnologies.ge







# Steelcase



**ჩვენ შესახებ:**

კომპანია - "საოფისე ტექნოლოგიები" 10 წელია მუშაობს თქვენი კომფორტული და ერგონომიული სამუშაო გარემოს შექმნისათვის. ჩვენ ვართ პირველი კომპანია საქართველოში, რომელიც ავეჯის ფართო არჩევანთან ერთად, გთავაზობთ მომსახურების სრულ სპექტრს. ჩვენი პროდუქცია და სერვისი საშუალებას გვაძლევს, განვახორციელოთ პროექტები დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

## Love how you work.





**ABOUT US:**

Office Technologies is dedicated to create your comfortable and ergonomic workspace for more than 10 years. We are the first company established in Georgia, which provides you with wide range of furniture and full-package of related services. Our products and services allow us to implement various projects in accordance with customer demands.

Office Technologies
4 Freedom Square
0105 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 299 99 80
Email: info@officetechnologies.ge
www.officetechnologies.ge







## WE OFFER

- Office furniture
- School furniture
- Hotel furniture
- Furniture for public areas
- Special/custom made furniture
- Soft furniture
- Soft floor
- Archives
- Partitions
- Multimedia products
- Space planning
- Interior consultancies
- Design
- Installation
- After sales services

## ჩვენს შესახებ

- საოფისე ავეჯი
- სასკოლო ავეჯი
- სასტუმროს ავეჯი
- ავეჯი საჯარო ადგილებისთვის
- სპეციალური შეკვეთით დამზადებული ავეჯი
- რბილი იატაკი
- რბილი ავეჯი
- არქივები
- ტიხრები
- მულტიმედიური პროდუქტები
- სივრცის დაგეგმარება
- პროექტირება
- დიზაინი
- ინსტალაცია
- გაყიდვების შემდგომი
- მომსახურება

office technologies

Steelcase

# Love how you work.

## ABOUT STEELCASE

**Steelcase is the global leader in office furniture industry.**
brands offer a comprehensive portfolio of workplace furnishings and technology products, including, office chairs, desks, storage, and space divisions. As workplace expert, Steelcase helps people to have a better work experience, by providing products, services and insights into the ways they work.
Steelcase is dedicated to helping:

- people work more effectively
- organizations use space more efficiently

We have a passion to understand people at work. We do this by observing how they work, to understand the changing needs of individuals, teams and organizations.
Whatever you need to accomplish, Steelcase can provide you with the environment and the tools to do it **better, faster and more effectively.**
**Love how you work.**

## STEELCASE გლობალური ლიდერი საოფისე ავეჯის ინდუსტრიაში

Steelcase გთავაზობთ საოფისე ავეჯისა და ტექნოლოგიურ პროდუქტების მრავალფეროვან პორტფოლიოს, მათ შორის სამუშაო სავარძლებს, მაგიდებსა და ტიხრებს. როგორც სამუშაო სივრცის ექსპერტი, Steelcase ეხმარება ხალხს უკეთესი სამუშაო გარემოს შექმნაში და მომხმარებელს უზრუნველყოფს შესაბამისი პროდუქტებით, სერვისითა და გამოცდილებით.

Steelcase დაგეხმარებათ

- იმუშაოთ უფრო ნაყოფიერად
- გამოიყენოთ სივრცე მომგებიანად

სთილქეისის სწრაფვაა დააკვირდეს ხალხს და შეისწავლოს მათი სამუშაო პროცესი. ის უზრუნველყოფს შეგიქმნათ გარემო პირობები, რომელიც დაგეხმარებათ სამუშაო შეასრულოთ **უკეთესად, სწრაფად და ეფექტურად.**

Office Technologies
4 Freedom Square
0105 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 299 99 80
Email: info@officetechnologies.ge
www.officetechnologies.ge


EXCLUSIVE INTERIOR
FROM MUNICH
TO TBILISI
D. Agmashenebeli Alley. 38
Tel.: +995 32 224 18 81
info@kare.ge
www.kare-tbilisi.ge
/KARE.Tbilisi
KARE
TBILISI

# KARE - ექსკლუზიური დიზაინი გერმანიიდან

ინტერიერის ექსკლუზიური და თამამი გადაწყვეტილებების მოყვარულებისათვის თბილისში გერმანული ბრენდი KARE-ს მაღაზია გაიხსნა. KARE თბილისი ქართველ დიზაინერებს, არქიტექტორებს და გემოვნებიანი ინტერიერის მოყვარულებს სთავაზობს გერმანულ დიზაინს მიუნხენიდან პირდაპირ თბილისში.

ბრენდი KARE 1981 წელს დაარსდა გერმანიის ქალაქ მიუნხენში და მალე დაიპყრო დიზაინერებისა და დეკორაციის ენთუზიასტების გული. KARE-ს პორტფელში 5000-ზე მეტი პროდუქტია, საიდანაც 2000-მდე პროდუქტი KARE თბილისის მაღაზიაშია წარმოდგენილი. KARE-ს პროდუქტების ხაზი მუდმივად განახლების პროცესშია და ყოველთვის ერგება მომხმარებლის მოთხოვნას. დღევანდელი მონაცემებით ბრენდი KARE წარმოდგენილია 40-ზე მეტ ქვეყანაში და აქტიურად განაგრძობს გლობალურ ზრდას.

**KARE - იცხოვრე დინების საპირისპიროდ**

ეს არის სლოგანი, რომელსაც ავეჯისა და დეკორაციის ბრენდი KARE სთავაზობს მთელ მსოფლიოს.

"ჩვენ ვქმნით საუკეთესო დიზაინს და მიგვაქვს ის ფართო აუდიტორიამდე. KARE-ს მაღაზიები ჰგავს თეატრს, რომელიც გვიყვება ისტორიას დიზაინისა და ინტერიერის შესახებ", - ამბობს KARE Design GMBH-ის დამფუძნებელი და დირექტორი პიტერ შონჰოფენი.

KARE თბილისი ქართველ მომხმარებელს სთავაზობს ნატურალური ტყავისა და ტექსტილის რბილ ავეჯს, ბუნებრივი ხის, რკინისა და მდფ-ის პანელური ავეჯს, საწოლებს, განათებისა და აქსესუარების უახლეს ტენდენციებს, უნიკალურ დიზაინს და სახლის დეკორაციის წარმოუდგენელ იდეებს. თითოეული ნივთის დიზაინი ინდივიდუალური და დამოუკიდებელია. ამ დამოუკიდებელი ნივთების ერთობლიობა ქმნის განუმეორებელ ინტერიერს.

**KARE - ცხოვრება არის სტილი**

თითოეულ ადამიანს საკუთარი განსაკუთრებული სტილი გააჩნია. როგორც ამბობენ, - გემოვნებაზე არ დაობენ. KARE ქმნის დიზაინს ყველანაირი გემოვნების ადამიანისთვის. ზოგჯერ ძალიან თამამი, უკომპლექსო გადაწყვეტილებები ქმნიან სრულყოფილ ჰარმონიას და გარემოს, სადაც შეგვიძლია განვიტვირთოთ რთული სამუშაო დღის შემდეგ. სახლი, ეს არის ადგილი, სადაც ყველაფერი იდეალურად უნდა გამოიყურებოდეს.




სარეკლამო

## KARE - ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა

KARE დიზაინის შექმნა იწყება ჩანახატებისგან, ნახაზებისგან, კრეატიული იდეების ჩანაწერებისგან. შემდეგ ხდება იდეების განხილვა მოწვეული დიზაინერების, არქიტექტორებისა და მსახიობების წრეში. დიზაინის შექმნის ეს ეტაპი უზრუნველყოფს უნიკალური, აქამდე არ არსებული ფორმებისა და ფერების ნაზავს. თითოეული ახალი კოლექცია ეს არის მოვლენა - ის რაც აქამდე ჯერ არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, KARE მიიჩნევა მთელ მსოფლიოში ლიდერად ინტერიერისა და დიზაინის სფეროში.

KARE-ს მომხმარებელი კრეატიული, ინდივიდუალური, გულით ახალგაზრდა და ცოტა სიგიჟის მოყვარეული ხალხია. ხშირად არ არის ადვილი გაარღვიო დადგენილი საზღვრები და მიიღო ყველაზე ახალი და თანამედროვე ფორმები. საერთაშორისო კვლევების მიხედვით KARE-ს მომხმარებელი ძლიერი ლიდერის თვისებებით გამოირჩევა.




## ალმოაჩინე შენი KARE დიზაინი თბილისში

KARE თბილისის 2000 კვ.მ. მაღაზია ახალ სამყაროს სთავაზობს ქართველ მომხმარებელს და ამოვარდნილია ყოველდღიური ცხოვრების რითმიდან. KARE დიზაინს არ აქვს საზღვრები. შესაძლებელია, როგორც არსებული ავეჯითა და აქსესუარებით დიზაინის შექმნა, ასევე ექსკლუზიური პროექტების დიზაინის შექმნა და განხორციელება.

KARE თბილისის კონსულტანტები და დიზაინერები სიამოვნებით დაგეხმარებიან თქვენთვის სასურველი ინტერიერის გადაწყვეტილების მოძიებაში. ასევე შესაძლებელია წაიღოთ სახლში KARE-ს "Life is Style - კატალოგი" და განიხილოთ თქვენი მოსაზრებები დეკორაციის შესახებ ოჯახის წევრებთან ერთად. მაღაზიაში აქციის სახით შეხვდებით სპეციალურ "დიზაინერის შეთავაზებებს" რაც ასევე საინტერესო იქნება KARE თბილისის სტუმრებისთვის.

## KARE დიზაინერების სტუდია

KARE თბილისი მეგობრობს ყველასთან ვინც ქმნის ინტერიერს საქართველოში. მაღაზიაში გამოყოფილია სპეციალური სამუშაო სივრცე დიზაინერებისა და არქიტექტორებისთვის, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია დილის 11:00 საათიდან 20:00 საათამდე იმუშაოს. დიზაინერების სტუდიაში, განთავსებულია პროექტორი, რომელიც პრეზენტაციების დიდი ეკრანზე ჩვენების საშუალებას იძლევა. რაც მთავარია, KARE კლუბის წევრი დიზაინერებისთვის ეს ყველაფერი უფასოა. KARE დიზაინის კლუბის წევრები მიიღებენ მონაწილეობას ახალი დიზაინის შექმნაში და შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ საკუთარი კრეატიული იდეები KARE-ს გლობალურ სივრცეში. ჩვენი დიდი სურვილია ვიამაყოთ ქართველი დიზაინერების წარმატებული ნამუშევრების გამოფენით KARE-ს მაღაზიების ქსელში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

**KARE თბილისის მაღაზია მდებარეობს მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი №38. საკონტაქტო ნომრებია 224 18 81, 595550941.**

# სარჩევი
# Content




ქალაქი
CITY

ქალაქგეგმარებითი მეტამორფოზები 32



ჰაერივით გვჭირდება ჰაერი! 36



ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტივა 38



რეკონსტრუქცია-რესტავრაცია
RECONSTRUCTION-RESTAURATION

თბილისის პირველი სკოლა 44



კონცეფცია
CONCEPT

საქართველოს ქალები ხუროთმოძღვრებაში

**Georgian Women in Architecture** 50



ინტერიერი
INTERIOR

რესპექტაბელური ინტერიერი 66



არქიტექტურული აზროვნება - რა არის ეს?

**What is architectural thinking?** 54



საცხოვრებლი სივრცის მოდულური კომპოზიცია

**The modular composition of residential space** 70



ვენეციის 56-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა

**56th International art exhibition** 58



სახლი
HOUSE

Rooms Hotel თბილისი

**Rooms Hotel Tbilisi** 62







რონიკო R Roniko

www.facebook.com/ronikooptics
www.roniko.ge

# სარჩევი
# Content




პროფესიონალიზმის ქართულამერიკული ალიანსი
**Georgian-American Alliance of Professionalism** 72



ინტერიერის თავისუფალი სტილი
**Free Style of Interior Design** 74



ინტერიერის ორიენტირი
**Orientation of Interior** 78



ტრადიციულის თანამედროვე არქიტექტონიკა
**The Traditional Motives in Modern Architectonics** 82



საგნობრივი გარემოს ანტურაჟი
**Material Surroundings with a Creative Turn** 86



ვერნისაჟი
**VERNISAGE**

დაბრუნება 94



ახალი ამბები
**NEWS**

**Uniq Watches** 88



აჩი აბრამიშვილის და ნიკუშა ამირხანაშვილის გამოფენა
**Art exhibition of Achi Abramishvili and Nikusha Amirkhanashvili** 96



თენგიზ მახარაშვილი - ხატვა ჩემი გატაცებაა 90



გამოფენა, რომელმაც 60 მხატვარი გააერთიანა 98



ქართული მხატვრობა სოთბის აუქციონზე
**Georgian Art at the Sotheby's auction** 93



გია (გიორგი) ქურდიანი 100


www.jacuzzi.eu
HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
www.devon-devon.com
33 Chavchavadze ave.
0179 Tbilisi Georgia
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge
www.devon-devon.com
www.gessi.com
www.jacuzzi.eu
www.sicis.com









2014 წელს საერთაშორისო კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2014“ ლაურეატების, საუკეთესო ნომინანტების და დღეს მოქმედი არქიტექტორებისგან დაკომპლექტებული 6 კაციანი ჯგუფი ტრადიციისამებრ „არქიტექტორთა კლუბის“ პარტნიორი კომპანიის - იტალიური კომპანიის - „ჰერბოვიტალ 2-ს წარმომადგენლობა საქართველოში“ - მიერ მიწვეული იქნა იტალიაში სპეციალურ ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. ვორკშოპი იტალიაში 2014 წლის 24 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ კომპანიის - „ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა საქართველოში - ში“ - მიერ წელს უკვე მეოთხედ შედგა მთლიანად ქართველი პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიწვევა სპეციალურ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის „ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ - ეგიდით გაერთიანებული საქვეყნოდ ცნობილი, იტალიური ბრენდების მრავალფეროვანი პროდუქციის გაცნობას, შესწავლას და მის პრაქტიკაში გამოყენებას.

ქართველი არქიტექტორებით დაკომპლექტებული ჯგუფი, 24 ნოემბერს უკვე ბოლონიაში იმყოფებოდა, სადაც მათ დახვდნენ კომპანიის - „ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ - წარმომადგენლები, მიკროავტობუსით და აქედან დაიწყო საინტერესო, ვოიაჟი ჩრდილოეთ იტალიში. არქიტექტორებმა მოინახულეს და საფუძვლიანად შეისწავლეს იტალიური კომპანიების „ □ეა□“-ს,













# HERBOVITAL2





## ვორქშოპი იტალიაში

„ ჟაცუზზი□“- ს, „ □უკა□“-ს, „ □ესსი□-ს“ ულამაზესი ქარხნები. საშუალება მიეცათ სრულად ენახათ ამ კომპანიების პროდუქციის დამზადება სრულყოფის პროცესები და შოურუმები და აქ წარმოდგენილი უზადო, უნატიფესი დიზაინით შესრულებული ნაკეთობები და აქსესუარები. ჰქონდათ შეხვედრები და პროფესიული საუბრები კომპანიების წარმომადგენლებთან. პარალელურად, თავისუფალ საათებში, მასპინძლების ინიციატივით მოინახულეს ვენეცია, მილანი, ლაგო დი ორტა (ორტას ტბა) და უამრავი პატარა იტალიური ქალაქები თუ სოფლები. მილანში ყოფნისას, ვორკშოპის პროგრამის მიხედვით, არქიტექტორებმა დაათვალიერეს იტალიური კომპანიების ფეშენ შოურუმები, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.






















# HERBOVITAL2

## Workshop in Italy




Partner of Architectural Club – representative office of Italian Company “Herbovital 2” in Georgia invited a 6-man group of Architectural Award 2014 laureates and nomination winners to visit Italy and participate in a special workshop.

The workshop took place on November 24-30 2014. It is noteworthy that “Herbovital 2” has been organizing workshops for the Georgians for four years already. This action, organized with the help of Georgia-based representation of “Herbovital 2” aims at distributing information on diverse

Italian products, in sights on their advantages and practical application, among Georgian specialists.

On November 24, immediately upon arrival to Bologna, Georgian architects were met by “Herbovital 2” representatives, who took them to a breathtaking journey across Northern Italy. The architects toured factories of Italian companies Lea® , Jacuzzi® , Duka® and Gessi® studied production processes, viewed showrooms with flawlessly designed products and accessories, met with company representatives. During the time remaining from meetings and industrial tours, the hosts treated visiting architects to little outings around Venice, Milan, Lago di Orta and many other Italian towns and villages.

During their stay in Milan, the architects visited updated showrooms of Italian companies, which left an indelible impression on them.


















# ქალაქგეგმარებითი მეტამორფოზები

დღეს, ქალაქმშენებლობით სფეროში დაწყებული ბუმის ფონზე, ტერიტორიის ასათვისებლად, განხილული ამოცანების სრულად შეფასებამ და ამ ამოცანების შემდგომმა გადაწყვეტამ ქალაქგეგმარებითი პროცესის ახლებურად გააზრება განაპირობა.

წარმოდგენილი პროექტების შემსრულებელთა მოქმედების სტრატეგია ეფუძნება საპროექტო მენეჯმენტის სრული ციკლის გავლას - საპროექტო სივრცის ქალაქგეგმარებითი პოტენციალის შეფასებიდან - მოცემული ტერიტორიის ზონათა ექსპლუატაციაში მიღებამდე.

დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობისა და მომხმარებელთა ბაზრის ხშირი ცვალებადობის გამო, დიდი ტერიტორიებისათვის მიზანშეწონილია დამუშავდეს ერთიანი კომპლექსური ქალაქგეგმარებითი კონცეფცია, რომელიც დაადგენს ძირითად ქალაქგეგმარებით პარამეტრებს, გამოავლენს ტერიტორიის პოტენციურ შესაძლებლობებს და გაითვალისწინებს, როგორც საერთო ქალაქის, ისე დამკვეთის, კერძო მესაკუთრის ინტერესებს. ეს იქნება ამ ტერიტორიის ათვისების მოქნილი სტრატეგიული გეგმა-საფუძველი პროექტირების შემდგომ ეტაპებზე ტერიტორიის ცალკეული ნაწილების დაგეგმარებისათვის. დროისა და მოთხოვნილების მიხედვით, იგი სათანადო კორექტივების შეტანის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ეს გეგმა ბევრად უფრო მოქნილი უნდა იყოს, ვიდრე ადრინდელი დირექტიული დაგეგმვის პერიოდის ქალაქგეგმარებითი საპროექტო დოკუმენტაცია. ამავე დროს, ამ ტერიტორიის დაპროექტების ყველა ეტაპზე, გათვალისწინებული უნდა იყოს ერთიანი საქალაქო, საზოგადოებრივი ინტერესები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტორების მერაბ ბოლქვაძის და გივი შავდიას მიერ წარმოდგენილ მასალაში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მოცემულია მთელი ტერიტორიის დაგეგმარების ქალაქგეგმარებითი კონცეფცია და პირველი რიგის მშენებლობისათვის გამოყოფილია ტერიტორია.

დამუშავების დეტალიზაციის თვალსაზრისით, ეს მასალა უახლოვდება ტერიტორიის ადრინდელი, არა მხოლოდ დეტალური დაგეგმარების, არამედ მოშენების პროექტის შემადგენლობასაც.

პროექტის ავტორებმა, საპროექტო ფართი დაყვეს სამ ძირითად ზონად, სადაც უპირატესად განაშენიანების ერთი ძირითადი სახეობაა.

პირველი ზონა (განაშენიანების ფართი - 64370 კვ.მ) უფრო ახლოს არის ქალაქთან. წარმოადგენს პერსპექტიული საელჩოების, საკონსულოების, საქმიანი ბიუროებისა და სავაჭრო-სამომსახურეო ნაწილს. ამავე ნაწილში შედარებით წყნარ რელიეფზე სპორტული ცენტრია დაგეგმარებული.

მეორე ზონა (განაშენიანების ფართი - 19360 კვ.მ, მოსახლეობა - 373 მცხ) გახლავთ უპირატესად ინდივიდუალური, ნაკვეთიანი განაშენიანების სახეობა, სადაც დიდი ნაწილი ეკუთვნის ერთმანეთთან მიჯრით (ბლოკირებულ) განლაგებულ შენობებს, რომლებიც ერთგვარ საცხოვ-



რებელ ქუჩას აყალიბებენ.

მესამე ზონა (განაშენიანების ფართი - 88067 კვ.მ, მოსახლეობა - 2414 მცხ.) წარმოადგენს სხვადასხვასართულიან განაშენიანებას, რომელიც შიდა სამანქანო გზის გასწვრივაა აკინძული. განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე, ყოველგვარი კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურებით.

პროექტის ავტორთა ამოცანას წარმოადგენდა მაქსიმალურად შენარჩუნებული და გამოყოფილი ყოფილიყო არსებული სამანქანო და ფეხმავალთა გზები, დაგეგმარებაში ჩართულიყო მწვანე მასივები, გააქტიურებული როლი მინიჭებოდა წყალსაცავს და ხაზგასმულიყო რელიეფის თავისებურებები.

წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა მთელი ტერიტორიისათვის განხილული და შეთანხმებულ იქნას განაშენიანების ქალაქგეგმარებითი კონცეფცია

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი დიღომში





კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიის გენგეგმა

და პირველი რიგის მშენებლობის ტერიტორიის (მეორე ზონა) გენგეგმა

მერაბ ბოლქვაძისა (პროექტის მთავარი არქიტექტორი) და გივი შავდიას (პროექტის ავტორი) მიერ „ნუშის ბაღების“ მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარების სახით, კიდევ ერთი საინტერესო პროექტი შეიქმნა. კონკრეტული ქალაქგეგმარებითი სიტუაციის ანალიზის შედეგად, ჩამოყალიბდა მოტივიზაცია, დაზუსტდა საპროექტო პარამეტრები და განისაზღვრა პროექტის რენტაბელობა. დამუშავდა რამოდენიმე ვარიანტი, მათგან ყველაზე ოპტიმალური ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელობასთანაა შეთანხმებული. დაგეგმარება ე.წ. ამერიკული განაშენიანების პრინციპით აიგო. სამანქანო ტრასის გასწვრივ და მიმდებარე მონაკვეთებზე, საცხოვრებელი მასივების გადანაწილებით, საინტერესო შიდა ტერიტორიული სივრცეები და მდიდარი ინფრასტრუქტურით გაჯერებული განაშენიანების პროექტი წარმოიქმნა.

წარმოგიდგენთ კიდევ ერთ პროექტს, რომელიც არქიტექტორ მერაბ ბოლქვაძის მიერ დიღმის ტერიტორიისათვის განსაზღვრული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი შესრულდა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზასა და მტკვრის სანაპირო მაგისტრალს შორის არსებულ ქუჩის მიმდებარე სიბრტყეზე. ქუჩაზე განთავსებულია საქალაქო მნიშვნელობის ობიექტები. ამავე ქუჩაზე, ცალკეულ მონაკვეთებზე ჩამოყალიბდა საცხოვრებელი განაშენიანებაც. იგი ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არტერიას წარმოადგენს.

ნაკვეთიც უშუალოდ გამოდის ქუჩაზე და ამიტომ შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც შზ და სიღრმეში არსებული ფართი კი სზ-4 ზონად, რომელთა კოეფიციენტებია: სზ - კ1= 0,7; კ2=3,0; სზ -4 -კ1=0,6; კ2=2,2.

სწორედ ამ კოეფიციენტების გათვალისწინებით და მნიშვნელოვანი მაგისტრალის არსებობით, განაშენიანების წინა მხარე უფრო მრავალსართულიანი და მრავალფუნქციურია. სართულიანობა შეადგენს 9-10, პირველ-მეორე სართულებზე დაგეგმარებულია საზოგადოებრივი დანიშნულების მომსახურეობის ობიექტები. ნაკვეთის სიღმეში დაგეგმარებული პერიმეტრალური მოშენების შიდა ეზოიანი 6-7 სართულიანი მანსარდიანი შენობა. ეზოში განთავსებული სათამაშო და დასასვენებელი მოედნები და დეკორატიული აუზი. აქ შეუძლებელია მანქანით შესვლა. თავად შენობა სამი მხრიდან შემოსაზღვრულია სამანქანო გზით, რომლის გასწვრივ ღია ავტოსადგომებია განლაგებული.

უდაოდ საინტერესო მოცემული პროექტების განხილვისას, თვალნათლივ ჩანს, რომ ტერიტორიების ათვისების ასეთი გზა, თავიდან აგვაცილებს იმ მრავალ ქალაქგეგმარებით შეცდომას, რაც სახეზეა ჩვენი დედაქალაქის განაშენიანებაში ბოლო წლების მანძილზე.

მოამზადა ნინო ლალიძე



მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი დიღომში



"ნუშის ბაღების" მიმდებარე ტერიტორიის გენგეგმა. ვარიანტი - ა

ვარიანტი - ბ





# ჰაერივით გვჭირდება ჰაერი!

შემეძლო ამ სტატიის წერა ასე დამეწყო:

*„ქალაქგეგმარება აგლომერაციის, ქალაქისა თუ თემის სივრცითი მოწყობის (გეგმარების) დისციპლინაა, რომელიც ურბანული რეგიონების, მუნიციპალიტეტების და საქალაქო უბნების ფიზიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნავს და...“*

მერე გამოვიყენებდი ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა:

*„ურბანული რევიტალიზაციის პროგრამების დეცენტრალიზაცია...“*

*„მიწათსარგებლობის დოკუმენტაცია და მისი ინპლიმენტაცია...“*

*„კონდომინიუმების ინსტიტუციონალური აქტივიზაცია...“*

*„მდგრადი განვითარების ურბანული აქსელერატორები...“*

*„ჰაბიტატის ფრაგმენტაციის* SWT*-ანალიზი“ და ა.შ.*

მაგრამ ამ ფორმით ჩემი სათქმელის გადმოცემა მეც გამაწვალებდა და მკითხველსაც (თუ წაიკითხავდა საერთოდ ვინმე...)

ამიტომაც ვეცდები ქალაქგეგმარების არსი ისე გადავცე მკითხველს, რომ თავისი თვალით დანახული სამყარო შეაფასოს ურბანისტის თვალით. მიხვდეს სად ცხოვრობს, რა უჭირს მას (და ქალაქს) და (იქნებ) მიხვდეს კიდეც რა სჭირდება მას (ადამიანს და/ან ქალაქს).

ყველას უყვარს (ხოლმე) თავისი ქვეყანა, ქალაქი, სოფელი...

ან სუფრასთან ჭიქით ხელში...

ან უცხოეთში, მონატრებისას...

ან სტადიონზე, მით უმეტეს თუ რუსეთს მოვუგებთ...

ან მთაში, სადაც სხვა ყველაფერი დაგავიწყდება...

მაგრამ ეს სიყვარული ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე იკარგება და ითქვიფება, რომ ზოგჯერ სიძულვილადაც გადაიქცევა...

ან საცობში, მით უმეტეს თუ გეჩქარება...

ან სამსახურში, მით უმეტეს თუ იმას აკეთებ რაც არ მოგწონს...

ან ავტობუსში, მით უმეტეს თუ სავსეა და ცხელა...

ან სახლში... თუ სახლში ყოფნა აღარ გინდა...

და მერე, ეს გაბრაზებული ხალხი ერთმანეთს ურტყამს, აგინებს, ლანძღავს და ელოდება როდის დამთავრდება რაღაც... ან როდის დაიწყება რაღაც... და ზუსტად არც იცის რის დასრულებას და/ან დაწყებას ელოდება, მაგრამ მოლოდინი აცოცხლებს ყველას...

(ამას თუ სიცოცხლე ჰქვია...)

...და ყველა ეძებს დამნაშავეს...

მეზობელში...

მერიაში...

ოჯახში...

საკრებულოში...

მტრებში...

და არავინ ეძებს - თავის თავში...

ვერავინ ხედავს თვითონ რა დააკლო საკუთარ თავსა და ქვეყანას, ქალაქს, სოფელს...

და ვერც დაინახავს...

სანამ არ ეტყვიან...

რა გააკეთოს!!!

შეიძლება კი ერთმა კაცმა შექმნას ისეთი ჯანსაღი გარემო, რომ ცხოვრება უხაროდეს?

შეიძლება!!!

...თუ ამას წესებიც ეხმარება!

...ქალაქგეგმარებითი წესები...

... რომლებიც მოწადინებულია ყველას დაეხმაროს და ყველა დაიცვას...

მაგალითად:

თბილისელისთვის თბილისია „ყველაზე ლამაზი ქალაქი“, ქუთაისელისთვის - ქუთაისი, ბათუმელისთვის - ბათუმი და ა.შ. მაგრამ „განვითარებული ქვეყნების“ წამყვან ქალაქებში მოხვედრისთანავე ჩნდება ეჭვი - ასეა ეს?

განსაკუთრებით ეს იგრძნობა ევროპის „წამყვანი“ ქვეყნების ქალაქებში... ვენა, პარიზი, ბერლინი, მიუნხენი, ლუქსემბურგი, ლონდონი...

პირველი, რაც ამას განაპირობებს ურბანული გარემოა: არქიტექტურა, საზოგადოებრივი სივრცეები, გამწვანება, ტრანსპორტი...

სწორედ ურბანული გარემო ქმნის იმ „აურას“ რომელიც მოგწონს, გამშვიდებს და თავს გაგრძნობინებს დაცულად.

„დაცულობაში“ არ იგულისხმება მხოლოდ დაცვა აგრესიისგან... თუმცა აგრესიული შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე ტრანსპორტი, ჰაერი, წყალი, არქიტექტურა...

სწორედ ეს გამოარჩევს ჩვენ ქალაქებს იმ მეგაპოლისებისგან, რომლებშიც ცხოვრებას უამრავი ადამიანი ნატრობს...

ადამიანს უსაფრთხოების გრძნობა, სახლში ყოფნისას, ალბათ გამოქვაბულიდანვე მოჰყვება. სამწუხაროდ, ჩვენ, სახლად, დღემდე მხოლოდ ჩვენს „გამოქვაბულს“ მივიჩნევთ. „ევრო რემონტი“, „მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯარა“ (ალუმინის ჯობიაო), ესპანური „კაფელ-მეტლახი“, ლაქწასმული მუხის პარკეტი და სხვა დეტალები, რომლებიც სიტყვასთან „ჩემი“ ასოცირდება და „შტირლიცის გასაღებიან“ რკინის კართან მთავდება... სადარბაზო „ჩემი“ აღარ არის... ის საერთოა... მე თავს მხოლოდ იქ ვგძნობ „დაცულად“ სადაც „ჩემია“. საერთო - საერთოა, „ჩემი“ არ არის, სხვა მოუვლის, ოღონდ ეს სხვა ვინ არის არავინ იცის და არც არავინ უვლის. საერთოა (და შესაბამისად არავისი) სადარბაზოც, ეზოც, ქუჩაც, უბანიც, ქალაქიც და ქვეყანაც...

...და ამიტომაც „გვიდგას კარგი დახლი“...

ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ამაში არავინაა დამნაშავე... არც მენტალიტეტის ბრალია... არც ეკონომიკური კრიზისის და არც „სუკის“ თუ „ცეერუს“ აგენტების...

ქალაქგეგმარების ბრალია!!!

ქალაქგეგმარების - რომელიც არ არსებობს...

ქალქგეგმარება თავის თავში მოიცავს ყველაფერს: არქიტექტურას, სოციოლოგიას, ეკონომიკას, ეკოლოგიას, ტრანსპორტს... და სამწუხაროდ პოლიტიკასაც...

პოლიტიკოსს ძალიან არ უყვარს ქალაქგეგმარება (განსაკუთრებით ჩვენნაირ ქვეყნებში), ვინაიდან მისი მიზნები (ასეთ ქვეყნებში) კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან:





ქალაქგეგმარებითი აზროვნება 10-20-30 წლის პერსპექტივით მუშაობს.

პოლიტიკური „პერსპექტიული აზროვნება“ 4-5 (გააჩნია რამდენწლიანი არჩევნების სისტემაა და რამდენი დრო დარჩა შემდეგ არჩევნებამდე) წლის არეალს არ სცდება.

ჰაერივით გვჭირდება **ჰაერი!**

ქალაქგეგმარებისთვის ინტერესის არეალი მთელი ქალაქია, ან მთელი უბანი...

პოლიტიკოსისთვის, ან მისი მეგობრისთვის - მთელი ნაკვეთი...

ქალაქგეგმარებისთვის ერთი ადამიანის შეზღუდვა არაფერია მილიონის სასიკეთოდ.

პოლიტიკოსი ის ერთი ადამიანია სწორედ, ან მისი მეგობარი...

ქალაქგეგმარებისთვის ადამიანია მთავარი, პოლიტიკოსისთვის - ამომრჩეველი...

ქალაქგეგმარება ცხოვრების წესებია, შეზღუდვები საზოგადოების სასარგებლოდ... ის ვერ ერგება ცალკეულ პერსონებსა თუ ობიექტებს... მით უმეტეს პოლიტიკანებს...

ამას არაფერი ეშველება.. არც სხვაგან ეშველა რამე... მაგრამ წესებმა, რომელიც საზოგადოებამ მოითხოვა და დაამტკიცებინა პოლიტიკოსებს, წინ დააყენა ქალაქის ინტერესები, ქალაქგეგმარება, ურბანისტიკა და აიძულა პოლიტიკოსები იმ წესებით ეთამაშათ, რომელიც ხალხისთვისაა სასიკეთო.

და რა არის ხალხისთვის სასიკეთო?

ხალხისთვის, რაც არის სასიკეთო, ყველა (ნორმალურ) ქვეყანას აქვს ჩამოყალიბებული და ქალაქგეგმარებით (და არა მხოლოდ ქალაქგეგმარებით) ნორმებში ასახული, ანუ ნორმებით განვითარება შველის საქალაქო პრობლემებს...

მოდით ჩვენც პრობლემებით დავიწყოთ. რა უჭირს ჩვენ ქალაქს? თბილისზე ვილაპარაკოთ, მაგალითისთვის...

პირველი: რა სჭირდება ადამიანს ყველაზე მეტად? ჰაერივით სჭირდება **ჰაერი!** შეიძლება ისუნთქო ჰაერი და კაი ხანს იცოცხლო, მაგრამ იქ, სადაც ქალაქგეგმარების წესები ირღვევა (მაგალითად თბილისში) შენ შეიძლება დიდხანს იცოცხლო, მაგრამ ვიღაცამ ნახევარი ცხოვრებაც ვერ გასტანოს ჯანმრთელად. ყველას ეწყინა სადღაც ნათქვამი, რომ თბილისი ერთ-ერთი უარესთაგანი აღმოჩნდა საცხოვრებლად ევროპის ქალაქებს შორის, მაგრამ ვის უნდა ცხოვრება იმ ქალაქში სადაც ნახშიროჟანგის დონე ნორმას 1,5-ჯერ აღემატება, აზოტის დიოქსიდის და გოგირდის დიოქსიდის - 2-ჯერ, ხოლო მტვრის დონე 3-ჯერ მეტია მაქსიმალურ დასაშვებზე? თითქოს მხოლოდ სიტყვებია, რაღაცის დიოქსიდზე, მაგრამ ეს მეტია ვიდრე სიტყვები... ეს ნიშნავს, რომ ვიღაცა რაღაცას არასწორად აკეთებს და ამიტომ ვიღაცას, უფრო სწორად კი ვიღაცეებს ალერგია გაუჩნდათ და მთელი ცხოვრება უნდა აკონტროლონ თავისი საკვები, არომატები, სასმელი... გაზაფხულზე თავი უნდა შეიკავონ სეირნობისგან, იმიტომ, რომ სახიფათოდ ჩასაფრებულან ჭადრები და ახლად აყვავილებული ალუბლის ხეები, „აფეთქებული ატმის ხეები“...

ვიღაცას ქრონიკული ბრონქიტი დაემართა და ვიღაცას ფილტვის კიბო... და ეს არ მთავრდება... და ეს შენც გეხება... მერე რა რომ შენ არ გჭირს... იმედია არ გჭირს...

და რატომ არის ჰაერი ბინძური? იმიტომ, რომ ქალაქში არ არის გამწვანება? ეგ ცუდია, მაგრამ მიზეზი სხვაა... ქალაქგეგმარება!!! უფრო სწორედ უქალაქგეგმარებობა - ახალი ტერმინი...

ისევ იქ მივდივართ: საკუთარ ბინას ყველა ანიავებს, მაგრამ, როგორც კი სახლიდან გადის ეჯახება „ცუდ“ ჰაერს,...

... იმიტომ, რომ მეზობელმა (ან თვითონაც) სადარბაზოს ნაწილი მიიერთა და ის აღარ ნიავდება (სამაგიეროდ კარგი „ჩულანი“ აქვს მეზობელს (ან თვითონ) ღვინის „შუშის“, მანქანის „რეზინების“ ან სოფლიდან ძლივად მორთმეული „კამპოტების“ შესანახად)...

...იმიტომ, რომ ვიღაცას ნაგავი სადარბაზოში გამოუტანია, რათა ევრორემონტი არ წაიბილწოს უსიამო ოხშივარით...

...იმიტომ, რომ ვიღაცის ძაღლმა ვერ მოითმინა ეზომდე...

...იმიტომ, რომ ვიღაცის ძაღლმა კი მოითმინა ეზომდე, მაგრამ რა ხეირი (პატრონს ხომ არ ჩაუბიჯებია)...

...იმიტომ, რომ ორ სახლს შორის ვიღაცამ მესამე „ჩააკვეტა“ (მერე რა რომ სკვერი იყო? უსკვეროდაც გაძლებენ, რაღა აქედან უნდა განიავდეს მთელი კვარტალი)...

...იმიტომ, რომ ვიღაცამ მთის ძირში ააშენა სახლი, თანაც მაღალი რომ მეტი ადამიანი დატკბეს ამ სახლიდან ქალაქზე ხედით (მერე რა რომ მთიდან ნიავდება ბარი)...

...იმიტომ, რომ ვიღაცამ მშენებლობა ვერ დაამთავრა, ხოლო „პრარაბმა“ მთელი ქვიშის მოპარვა ვერ მოასწრო და რაც დარჩა ქარს მიაქვს, მიაქვს, მიაქვს და...

ქალაქი კიდევ არ ნიავდება (ევრორემონტიანი ბინისგან განსხვავებით), იმიტომ რომ ევრორემონტიანი ბინას პატრონი ჰყავს, იქნებ გაქსუებულიც, მაგრამ მაინც პატრონი... ქალაქი კი ყველასია... მაგრამ არავინ უვლის... იმიტომ, რომ არავისი არ არის... მაგრამ ეს ჰაერი ხომ ყველასია?

უფრო სწორედ არავისი...

არავის ეკითხება სად შევიდეს და სად არა...

ვერ არჩევს კეთილს და ბოროტს...

ვერ არჩევს ვინ გასცა მშენებლობის ნებართვა და ვინ აპროტესტებდა ამას...

ვერ არჩევს კაცი ჭამისგან არის ცუდად თუ უჭმელობისგან...

დიდია თუ პატარა...

ყველასთან ერთაირად მიდის თავისი ჟანგბადით, მტვრითა და რაღაცის დიოქსიდებით...

ტრანსპორტი? ტრანსპორტი არ აბინძურებს ჰაერს? მარტო ჰაერს? ჰაერსაც და...

ამაზე შემდეგ ნომერში...

ანუ შემდეგი ბლოგის თემაა ქალაქგეგმარება და ტრანსპორტი...

არქიტექტორი ირაკლი მურღულია





თბილისის ხედი. გაგარინის ჩანახატი

# ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტივა

თბილისის ოროგრაფიულმა მდგომარეობამ განაპირობა ქალაქის, მთლიანობაში, და მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების განლაგების სპეციფიკა.

თავდაპირველად თბილისი მარჯვენა სანაპირ კალთიდან განაშენიანდა, ხოლო, შემდეგ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ათვისება დაიწყო.

ძველი საცხოვრებელი რაიონების გეგმარებითი სტრუქტურების ორგანიზაციაზე ყველაზე მეტ გავლენას ადგილმდებარეობის რთული რელიეფი ახდენდა, რომელზედაც დამოკიდებული იყო განაშენიანების განთავსება, ხერხები, სიმჭიდროვე და სართულიანობა, ქუჩების ტრასირება. მთების და ხეობების კალთების საფეხუროვანი განაშენიანება მართობულად განლაგებული დერეფნებით დადებით შედეგებს იძლეოდა სახლების აერაციისა და ინსოლაციის თვალსაზრისით. ძველი ნაგებობები შერწყმული იყო გარემო არსებულ ლანდშაფტთან, გამოხატავდნენ რელიეფის პლასტიურობას.



თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარების სქემები

ქალაქის ციცაბო კალთების განაშენიანება ისე იყო მოწყობილი, რომ ქვემოთ განლაგებული სახლის სახურავი შემდეგის ეზოს წარმოადგენდა. უბრალო მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებისა და დიდგვაროვანთა სასახლეების მშენებლობის ტრადიცია შვეული კლდის თავზე და ჩანჩქერსა და მდინარის თავზედაც კი, უზრუნველყოფდა სახლის კარგ განიავებას, რომელიც ტემპერატურული სუფთა ჰაერის ინვერსიებით იყო გამოწვეული. ლანდშაფტური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებების მაქსიმალური გამოყენება ძველი ქალაქის დაგეგმარებასა და განაშენიანებაში წარმოადგენდა ხუროთმოძღვრების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

ისტორიულ წყაროებში არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ძველი ქალაქი გარსშემორტყმული იყო ბაღებითა და ტყეებით. ეს ხელს უწყობდა თბილისის კლიმატის კომფორტულობას, რაც დღევანდელ დღეს სამწუხაროდ არ შეიმჩნევა. ურბანულ და ბუნებრივ პოლარიზებულ გარემოთა შორის მკაფიო მიჯნა სწორედ ქალაქის თავდაცვისთვის გა-



თბილისის გეგმა. სოლოლაკი. XIX საუკუნის შუა წლები.

ლავანზე გადიოდა. ეს მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე საყოველთაო პრაქტიკა იყო და ამ თვალსაზრისით არც ფეოდალური თბილისი იყო გამონაკლისი. ამ პერიოდის თბილისში ბაღები გაშენებული იყო ქალაქის გალავანს გარეთ და ისინი, ხშირად, საკუთარი გალავნებით იზღუდებოდა, რასაც ვახუშტისეული რუკა თვალნათლივ მოწმობს.

ბატონიშვილ ვახუშტის რუკის (1735 წ.) ლეგენდაში ფიგურირებს თბილისის 11ბაღი ; ესენია: - ყაიბულას ბაღი; - მამასახლისის ბაღი; - დედოფლის ბაღი; - მეფის დიდი ბაღი;- თბილელის ბაღი; ბაღი სეიდაბადისა;- ციხის ბაღი;- კრწანისის ბაღი;- ბებუთის ბაღი;- ახალი ბაღი მეიდნისა; - ბეჟანას ბაღი.

ამ ბაღებს შორის მხოლოდ "ბეჟანას ბაღია" მოქცეული ქალაქის გალავანს შიგნით. ამავე დროს, რუკის ლეგენდაში მოხსენიებული რჩება ორბელიანის კუნძულზე აღნიშნული მწვანე მასივი — პირობითი ნიშნის მიხედვით, ესეც ბაღი უნდა ყოფილიყო.

თბილისის გეგმების დიაქრონული ანალიზი (1801,1833,1867,1902 და სხვა წლების) გვიჩვენებს, რომ განაშენიანების ზრდა-განვითარების რესურსს XIX საუკუნეში მიმდებარე სოფლების ინკორპორირებისა და აუთვისებელი ტერიტორიების შემოერთებასთან ერთად, სწორედ ძველი თბილისური ბაღები წარმოადგენდა. თბილისელებისთვის, თბილ სეზონზე, ერთ-ერთ ტრადიციულ გასართობს წარმოადგენდა სეირნობა ქალაქის განაპირა ბაღებში. ბაღები მწვანე კედლად ერტყა თბილისს. ტრადიციულ დასასვენებელ ადგილებად იყო მიჩნეული კრწანისი და ორთაჭალა, რომლებიც სახელგანთქმულნი იყვნენ თავისი ბრწყინვალე ხილის ბაღებით, ვენახებით, მდინარე ვერეს ნაპირზე. 1840 წლამდე პოპულარულ დასასვენებელ ადგილად მიიჩნეოდა ასევე ბაღები სოლოლაკში, რომელიც ვორონცოვის სამშენებლო საქმიანობის პერიოდში განადგურდა.

თბილისის ევროპულ ყაიდაზე გადაყვანაში რუსული ადმინისტრაციის მაღალ მოხელეთა შორის ყველაზე წარმატებული თავადი მიხეილ ვორონცოვი იყო. მისი საქმიანობა ქალაქის გამწვანებასაც შეეხო. ვორონცოვმა ახალი ტფილისის მთავარ არტერიაზე გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე, პირველი ტროტუარები შექმნა, ხეები გააშენა.



ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა თბილისისა, 1735 წ.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისის გამწვანების სისტემის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი გერმანელ კოლონისტთა დასახლებას – ალექსანდერდორფს ეკუთვნის. შემდგომ გერმანელთა კოლონიის ალექსანდერდორფის ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ინკორპორირების კვალობაზე, აქ არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ნელ-ნელა განაშენიანებამ შთანთქა, მაგრამ ზოგიერთი ნაკვეთი საქალაქო ბაღებად გადაიქცა; ჩამოყალიბდა მიხეილის პროსპექტის გაყოლებით შიდაკვარტლური ბაღების საინტერესო სისტემა, რომლის ნაშთები დღესაც არსებობს (არტოს ბაღი , გორკის სახ. კლუბი და სხვა).

ამავე პერიოდში მოეწყო საზოგადოებრივი ბაღები, რომლებიც ალექსანდროვის, ხუდადოვის სახელწოდებებითაა ცნობილი. თბილისის ისტორიული ნაწილის გამწვანების სისტემაზე მსჯელობისას, ბოტანიკურ ბაღს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ვახუშტისეულ რუკაზე ციხის ბაღად წოდებულ ბაღს მდ. წავკისისხევის კანიონში ჯერ კიდევ არაბობის დროს ჩაეყარა საფუძველი, რაც ამ ადგილის უნიკალური მიკროკლიმატით



თბილისის გეგმა, შედგენილი 1800 წელს.



თბილისის გეგმა, შედგენილი 1802 წელს.



ორთაჭალის კუნძული


მუშთაიდის ბაღი


ბოტანიკური ბაღი ჩაიხანათი


ალექსანდრეს ბაღი-(ახლანდელი 9 აპრილის)

იყო განპირობებული. რუსეთის ადმინისტრაციის ხელში ბაღმა მრავალჯერ იცვალა დანიშნულება.

XIX საუკუნის შუახანებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოლოვინის პროსპექტი – მთელ სიგრძეზე შემოსილი ხეივნით და განათებული გაზის სანათურებით, საღამოობით იზიდავდა საზოგადოებას, რომელიც სეირნობაში ისვენებდა დღის სიცხისაგან. თბილისელთა ტრადიციული დასასვენებელი ადგილები - ვერეს, დირსიჭალისა და ორთაჭალის ბაღები ამ დროსაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის სოციალურ ცხოვრებაში.

რუსეთის იმპერიაში მომხდარი რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების პერიოდში შეიქმნა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების კომპლექსური გენერალური გეგმა. რისი განახლებაც ხდებოდა ყოველ 25 წელიწადში, პროექტის რეალიზაციის გაანალიზების საფუძველზე, ახალი სოციალურ-ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური პროგრესის, სტრატეგიული მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.

საბჭოთა ქალაქგეგმარების თეორიასა და პრაქტიკაში "მწვანე მშენებლობას" სათანადო ყურადღება ექცეოდა. გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე ქალაქების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად იქცა და უკვე 1923 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოსთან შექმნილი საბაღე სექცია შეუდგა "განადგურებული ბაღების" აღდგენას. 1932-1934 წწ. ქალაქის ისტორიაში შედგა პირველი გენერალური გეგმა, რომელიც აგრძელებს ქალაქის ხაზოვანი განვითარების ტენდენციებს: ქალაქი დაგეგმარებულია მდ. მტკვრის გასწვრივ, განივი შესვლებით ხეობაში, ხელსაყრელი ტერიტორიების ათვისებით და მდინარეზე ორმხრივი განაშენიანების მძლავრი კავშირებით. გენგეგმაზე მონიშნულია: "თბილისის ზღვა" და განვითარებულია რეკრიაციული ზონით, ქალაქის სხვა


ადგილი სადაც აშენდა მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდი


მადათოვის (ორბელიანის) კუნძული. მიხეილის ხიდი

ფუნქციური ზონები. დაიწყო ქალაქის ტერიტორიის გამწვანებისა და გაწყლოვანების დიდი სამუშაოები, მთაწმინდის კალთებზე ტყეპარკის მოწყობით, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე ზოოპარკის მშენებლობის სამუშაოებით. დაგეგმილი იყო რამდენიმე პარკის შექმნა ქ. თბილისის სხვადასხვა ნაწილებში. ქალაქის ყველა რაიონში უნდა გაშენებულიყო პარკები - მათ შორის, ავლაბარსა და ორთაჭალაში, აგრეთვე ორბელიანის კუნძულზე.


ბოტანიკური ბაღი


ორთაჭალის (კრწანისი ბაღები)


მეფისნაცვლის (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლე


ორთაჭალის (კრწანისი ბაღები)


ვერის ბაღები

მშენებარე სანაპიროებს, ხეივნებითურთ, ამ პარკებს შორის გამაერთიანებელი რგოლის ფუნქცია უნდა ეტვირთა. გაშენდა კომკავშირის ხეივანი (1935 წ.), პარკი მთაწმინდის პლატოზე (1938 წ.) და სხვა.

ქალაქის გამწვანებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მეორე გენერალურ გეგმაში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედგა თბილისის მეორე გენერალური გეგმა (1954 წ.) ქალაქთმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: შეიქმნა მარჯანიშვილის სახ. მოედანი (40-იანი წწ. მიწურული); გაყვანილ იქნა განივი მაგისტრალები - ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (50-იანი წწ.). 70-იან წლებში მთავრდება მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ მაგსტრალური ქუჩების გაყვანა და გამწვანება. გაშენდა გამარჯვების პარკი (ამჟამად ვაკის პარკი), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის ე. წ. „თბილისის ზღვის“ გარშემო ტყე-პარკის, დასვენების ზონის მოწყობა. გაიზარდა თბილისის ტერიტორია - მთლიანად ათვისებულ იქნა ვაკის, საბურთალოს, მცირე დიღმის მასივები. მთავრდება ღრმაღელის, ავჭალის, ფონიჭალის განაშენიანებე. დაიწყო ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის, ბაგებისა და სხვა ტერიტორიების განაშენიანება.

თბილისის ტერიტორიის 10.000 ჰექტარიდან მწვანე მშენებლობას ეთმობოდა 6500ჰა. გათვალისწინებული იყო "მწვანე სოლების" მეშვეობით ბუნებრივი ლანდშაფტის შემოყვანა თბილისის ურბანულ ქსოვილში. გარდა ამისა პროექტში გათვალისწინებული იყო ქალაქიდან აღმოსავლეთით მახათას მაღლობზე მდებარე სამი ტბის შესართავთან სამგორის წყალსაცავის მშენებლობის საკითხი. ამასთან ერთად, "ძველ უბნებში", უწინარესად პლეხანოვის პროსპექტზე გათვალისწინებული იყო დაბალსართულიანი შენობების აღება და ისტორიულად არსებული შიდაკვარტალური პარკების დაკავშირება პროსპექტთან.

1971 წელს დამტკიცდა თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წლებისათვის), წინა გენერალური გეგმებისაგან განსხვავებით, იგი ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიულ ზრდას არა მარტო სიგრძივ, მდინარის აღმა,


გოლოვინის პროსპექტი



"ვაკის პარკი" - 40-იანი წლების ბოლო.



თბილისის გეგმა 1924 წ.



თბილისის ზოოპარკი. 1950-იანი წლები



თბილისის მესამე გენერალური გეგმა



ფუნიკულიორი

არამედ განივადაც - ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, „თბილისის ზღვის“ გარშემო. თბილისის პირობებში ასეთი გრძივი და განივი ქუჩების ქსელის შექმნამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო ქალაქის განიავება და სატრანსპორტო კავშირები. ამ წლებში გრძელდებოდა საპარკო მასივების შექმნის მნიშვნელოვანი სამუშაოები. აშენდა დიდი პარკი ვაკეში წყლის კასკადით, რაც ამ ტერიტორიაზე საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს ქმნის. „თბილისის ზღვის“ ირგვლივ შეიქმნა დასვენების ზონა, მოწყო პარკი 850 ჰამდე ფართობით. დაიგეგმა მწვანე სარტყლის შექმნა თბილისის ირგვლივ (ტყეპარკის სარტყელი), რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებად.

ქ. თბილისის თავდაპირველი განაშენიანების დაგეგმარებაში ასახული იყო ლანდშაფტური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებები. მთებისა და ხეობების ფერდობების საფეხუროვანი განაშენიანება იძლეოდა დადებით შედეგებს აერაციის თვალსაზრისით.

მიუხედავათ საბჭოთა პერიოდის თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, კომუნისტურმა სისტემამ ძალიან ბევრი ლანდშაფტურად გაუმართავი უბნები წარმოიქმნა და მძიმე შეცდომები დაუშვა თბილისის ქალაქგეგმარებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადაწყვეტისას.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმაფო-



ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲢᲐᲮᲔᲑᲨᲘ



რმირებელი ფაქტორის უგულველყოფა. მდინარის სანაპიროები მოქალაქეეების დასვენებისა და გართობის მთავარი ღერძი უნდა გამხდარიყო. მტკვარი მოსწყვიტეს ქალაქის ნაწილებს, მოქალაქეებს. ეს არის შეცდომა, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია.

კიდევ ერთი მძიმე შეცდომა იყო დაშვებული ქალაქის პერსპექტიული განვითარებისთვის - თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული სასოფლო ტერიტორიების (დიღმის, გლდანის, ვარკეთილის და ა.შ) გამოყენება. ეს გამწვანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შთანთქა უზარმაზარმა და სრულიად უსახო საცხოვრებელმა რიგებმა. ისედაც, ძალზე მცირემიწიან საქართველოს დააკლდა ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, რომელმაც დიდი ეკონომიური, ეკოლოგიური და ა.შ. ზარალი მოუტანა ქვეყანას.

თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების განვითარება პოსტსაბჭოთა პერიოდში, ანუ 1992 წლიდან დღემდე, ძალზე სპეციფიურია და ცალკე განხილვა-ანალიზს საჭიროებს, ამიტომ ამ ეტაპზე, მასზე, ძალზე მოკლედ შევჩერდებით.

მე-20-ე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის დეგრადაციის პროცესები. დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა ტყეების გაჩეხვა, უკანონო თუ კვაზიკანონიერი მშენებლობები, საწარმოო ნარჩენებით ტერიტორიების დაბინძურება.

ჩვენს დედაქალაქში ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, მზარდმა ურბანიზაციამ, ქალაქური ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა, რასაც ემატებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფო მმართველი ორგანოების უყურადღებობა და ინდიფერენტულობა, გამოიწვია ის უარყოფითი შედეგები, რაც ასე მძიმედ აისახა ჩვენი საარსებო გარემოს დეგრადაციაში. არადა, ტერიტორიების გამწვანებას, თუ მათ რესტავრაცია-აღდგენას შეუძლია ურბანული ლანდშაფტის მთლიანად გარდაქმნა. ამ გზით შესაძლებელი იქნება ქალაქს შეემატოს მეტი სარეკრეაციო სივრცეები და ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ინვესტორებს ახალი ბიზნესის განვითარებისთვის.

მწვანე მშენებლობის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა პოსტსაბჭოთა საქართველოში 90–იან წლებში მაინცდამაინც არ განვითარდა. დღემდე ფაქტიურად არ ჩამოყალიბებულა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები. კანონმდებლობის არ ქონა და სხვა მიზეზები ხელს უწყობს თბილისის ბაღების განადგურებასა და ამ მონაკვეთებზე ქალაქის განაშენიანების განთავსებას.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ







ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ "ᲓᲘᲓᲘ ᲓᲘᲚᲝᲛᲘ", V-VI ᲛᲘᲙᲠᲝᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲙᲔᲢᲘ

რეკონსტრუქცია-რესტავრაცია

RECONSTRUCTION-RESTAURATION

# თბილისის პირველი სკოლა



*ქალაქ თბილისის №1 საშუალო სკოლის (თბილისის კლასიკური გიმნაზია) რესტავრაციის პროექტის და შენობის ნატურაში აღდგენის ავტორები:*

*ღირსების მედლის კავალრები, 1996 წლის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის დიპლომანტები „წლის საუკეთესო არქიტექტურული ობიექტისათვის“, არქიტექტორები:*

*ირინე შარაშენიძე და ნიკოლოზ ზაზუნიშვილი.*

*№1 საშუალო სკოლის რესტავრაციის პროექტზე მუშაობდნენ არქიტექტორები:*

*მ. გელაშვილი, გ. ქალებაშვილი, ხ. ქომეთიანი.*

**თბილისში, 1991-1992 წ.წ. მიმდინარე საომარი მოვლენების შედეგად მრავალი შენობა და უბანი დაზიანდა, თითქმის ბოლომდე განადგურდა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ყველასათვის ცნობილი „ქალაქ თბილისის №1 საშუალო სკოლა“, იგივე „თბილისის კლასიკური გიმნაზია“, რომელიც არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა.**

**საზოგადოების მოთხოვნით, №1 სკოლის დირექტორის, არაჩვეულებრივი ქალბატონის ლია შეწირულის თავდადებული ბრძოლის და საქართველოს მთავრობის აქტიური ქმედებების შედეგად, სამთავრობო დადგენილებით ძეგლთა დაცვის საპროექტო ინსტიტუტს - „საქრესტავრაცია“-ს დაევალა „თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ აღდგენის პროექტის შედგენა, რაც უმოკლეს ვადებში შესრულდა, კიდეც. ობიექტის სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების ნატურაში შესრულება, მერიის „კაპიტალური მშენებლობის სამსახურთან“ გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე, დაევალა შპს „თაობა“-ს (დირექტორი: ირინე შარაშენიძე). „თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ აღდგენა, როგორც საქველმოქმედო ობიექტი, სრულად დააფინანსა ქ. მოსკოვის მერიამ.***

ზოგადად ომის შემდგომი, ფეხზე დადგომის და აღდგენის პერიოდი ყოველთვის რთულია. ასე იყო მოცემულ შემთხვევაშიც. არ იყო ელექტროენერგია, გაზი, არ მუშაობდა ტრანსპორტი და საწარმოთა უმეტესობა – ჭირდა საქმის აწყობა. დიდი ძალისხმევის, შრომის, ნერვების, სამუშაო ტემპების, უძილო ღამეების, საქმის სიყვარულის ხარჯზე და, რა





თქმა უნდა, ღვთის წყალობით, ყველაფერს მოება თავი, ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება თავის ვადებში უმაღლესი ხარისხით შესრულდა.

## სკოლის შენობის ისტორია

თბილისის პირველ საშუალო სკოლას, როგორც სასწავლებელს, მრავალეტაპობრივი ისტორია აქვს: დაარსდა 1830 წელს ადრე არსებული (1804 წ.-იდან) კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე. 20 წლის განმავლობაში ეს გიმნაზია იყო ვაჟთა ერთადერთი საერო საშუალო სასწავლებელი საქართველოში. მასთან არსებობდა პანსიონიც.

1831 წელს გიმნაზიაში მოწაფეთა რიცხვი 500-მდე გაიზარდა. სწავლა მიმდინარეობდა ცალკე შენობაში სასახლის ქუჩაზე, პანსიონი კი ცალკე შენობაში იყო. გიმნაზიის ძველი, არსებული შენობა ველარ იტევდა მოსწავლეთა რაოდენობას, რის გამოც საკითხი ახალი შენობის ასაშენებლად ისევ აქტუალური გახდა.

---

** შპს „თაობა“-ს მიერ ნატურაში შესრულებული სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოები დამკვეთის (თბილისის მერია) მიერ დღემდე არ არის გადახდილი. 1995 წლიდან მიმდინარეობს სასამართლო დავა.*









1833 წელს გენერალ პასკევიჩის ბრძანებით აშენდა გიმნაზიის ახალი შენობა პანსიონით (დღევანდელი თბილისის №1 საშუალო სკოლა რუსთაველის პროსპექტზე).

თბილისის გიმნაზიის შენობის მშენებლობის თავდაპირველი პროექტი დღეს არ მოგვეპოვება. შენობა მრავალჯერ გადაკეთდა, მისი გარეგანი სახის და ინტერიერების დადგენა მხოლოდ საარქივო ფოტომასალითაა შესაძლებელი. ამ ფოტომასალაზე დაყრდნობით, გიმნაზია ორ-სართულიან, გეგმაში არართული ფორმის, მარტივი კლასიკური სტილის ნაგებობას წარმოადგენდა გოლოვინის პროსპექტისკენ გამოწეული ფლიგელებით. აქცენტირებულია მხოლოდ ცენტრალური ფასადის გადაწყვეტა, სხვა ფასადები უყურადღებოთაა დატოვებული. საქართველოსთვის უცხოა ასეთი მიდგომა შენობის მხოლოდ ერთი ფასადის აქცენტირება-გამოყოფისა. შენობა შეღებილი ყოფილა ყვითლად, 1866 წლისთვის კი საღებავი თითქმის მთლიანად წაშლილა.

1847 წ. მოსწავლეთა შორის რელიგიურობის ასამაღლებლად მარცხენა, სამხრეთის ფლიგელში, მეორე სართულზე, გიმნაზიის ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა „ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“, რომლის ინტერიერიც რუსული ეკლესიისთვის დამახასიათებელი იერსახით იყო გადაწყვეტილი.

გიმნაზიას, გოლოვინსკის პროსპექტის მხარეს, საკუთრებაში ჰქონდა დიდი ბაღი და უკანა ეზოში საავადმყოფო გამწვანებული ბაღით.

1896 წლის 10 სექტემბერს საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ დააზიანა გიმნაზიის შენობაც, განსაკუთრებით კი სამხრეთის ფლიგელი (ეკლესია და დირექტორის ბინა), რადგან სახელმწიფოს მიერ შეკვეცილი სუბსიდირება ყოველთვის ერთი-ორი წლით გვიანებდა, გიმნაზის ხელმძღვანელობას ვაჭრები მუდმივად სთავაზობდნენ გოლოვინსკის პროსპექტის მხარეს მდებარე ბაღის გაყიდვას. უსახსრობის და გამოუვალი მდგომარეობის გა-









მო გიმნაზიის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ბოლოს და ბოლოს გაეყიდათ ბაღის ნაწილი გოლოვინის პროსპექტის მახლობლად და ჩაეტარებინათ გიმნაზიის რეკონსტრუქცია.

ერთ-ერთი სომეხი კერძო მწარმოებელი იძლევა საქმიან წინადადებას: „გავიგე რა, რომ 10 სექტემბრის მიწისძვრის შემდეგ, თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ შეაკეთოთ გიმნაზია, განსაკუთრებით კი მეტად დაზიანებული ადგილები - ეკლესია და მისი მიმდებარე ნაგებობა, ხელმეორედ გადახუროთ და შეაბათქაშოთ, მე გთავაზობთ ჩემი ხარჯებით შევასრულო ეს სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ 30 წლით დამითმობთ გოლოვინის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიას, იქ დუქნების მოსაწყობად". იგი პირობას იძლევა სამუშაო დაამთავროს 1897 წლის 15 აგვისტოსთვის და თავის თავზე იღებს წყალსადენის გაყვანასაც. გიმნაზიის გაფართოვება დაუმთავრებიათ 1899 წლის ბოლოსათვის. გადაკეთების პროექტი შეადგინა არქიტექტორმა შიმკევიჩმა. **ამგვარად**, გიმნაზიამ საერთო მოცულობის მხრივ მიიღო თითქმის ისეთი იერსახე, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია.

ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზია ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე სასწავლებელი იყო მთელს კავკასიაში. სხვადასხვა დროს აქ სწავლობდნენ საქართველოს თვალსაჩინო მამულიშვილები. გიმნაზიას ჰქონდა თბილისში იმ დროის საუკეთესო ბიბლიოთეკა, ფიზიკის, ქიმიის, ხატვის კაბინეტები, კავკასიის მცენარეთა ჰერბარიუმი, მწერების მდიდარი კოლექცია. გიმნაზიაშივე ყოფილა წიგნების მაღაზია. 1850 წ. თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზის სცენაზე დაიდგა გ. ერისთავის პიესა „გაყრა", რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენას.

მე-20 საუკუნის დასაწყისი, 1905 წელი, ანუ რევოლუციის პერიოდი, ძნელი აღმოჩნდა გიმნაზიისათვის - რუსეთის ჯარმა გიმნაზიის შენობაში დაარბია გიმნაზისტები.

1910 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში შედგა გიმნაზიის **სამეურვეო** კომიტეტის რამდენიმე სხდომა. ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, რაც მოითხოვდა შენობის გადაკეთებას.

გადაწყვიტეს სახსრების გამონახვის მიზნით გაეყიდათ გიმნაზიის აგარაკი მანგლისში.

გიმნაზიის დირექტორის ხელმძღვანელობით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: გიმნაზიის ზედა ეზოდან სატანვარჯიშო დარბაზში (გიმნაზიის 1 სართული) გაიყვანეს აგურით ამოყვანილი, ბეტონით გადახურული გვირაბი. დაინგრა მთავარი ვესტიბიული და მის ადგილას ქვედა სართულზე შეიქმნა დარბაზი. ვესტიბიულიდან გვირაბში გასასვლელად მოაწყვეს ქვის კიბე, ხოლო ვესტიბიულის შესასვლელთან გააკეთეს რკინის ქოლგა, დაშალეს ბიბლიოთეკის და კლასების იატაკები ახალი ვესტიბიულის მოსაწყობად. ასევე დაშალეს ვესტიბიულის კიბეები და მოედნები, მოაწყვეს იატაკი ძველი ვესტიბიულის შუა დონეზე და შექმნეს დარბაზი ზედა სართულზე. გადაკეთდა სასწავლო ოთახებიც.

გიმნაზიამ რამოდენიმეჯერ გამოიცვალა სახელწოდება და 1956 წლიდან ეწოდება „თბილისის I საშუალო სკოლა". 1952 წელს ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა საქართველოს ამ სასწავლებლის დაარსების 150 წლის იუბილე. 1958 წელს სკოლის წინ გაიხსნა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი (მოქანდაკეები: ვ.თოფურიძე, შ. მიქატაძე).

1974 წ. სკოლას ჩაუტარდა რემონტი, მი-









შენდა დიდი სპორტდარბაზი და სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი. შეიცვალა ინტერიერებიც, შეიქმნა და განახლდა სხვადასხვა კაბინეტი. 1984 წელს გაიხსნა სკოლის მუზეუმი.

## აღდგენითი სამუშაოების და რესტავრაციის პროექტის ანალიზი

„თბილისის კლასიკური გიმნაზიის", როგორც ძეგლის საარქივო-ბიბლიოგრაფიული, იკონოგრაფიული და ნატურაში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 1847 წ.





შენობა სადა, კლასიცისტურ სტილში იყო გადაწყვეტილი. სარკმლებით დანაწევრებულ ფასადებს არანაირი დეკორი არ ჰქონდა. გიმნაზიის შენობის ნაწილი შემოზღუდული იყო რკინის აჟურული ღობით. მე-19 ს-ის ბოლოსკენ ფასადებს დაუმატეს დეკორატიული დეტალები. გვერდითი ფლიგელების ხისტი ფრონტონები შეიცვალა დენადი ფორმებით, რომელთა ცენტრებში მრგვალი სარკმელები ჩასვეს. ფასადების ცენტრალური ნაწილების პარაპეტები შეიცვალა ბაზალტის პარაპეტებით, მასში ჩასმული თუჯში ჩამოსხმული რიკულებით. ფლიგელების ფრონტონები მოირთო დეკორატიული გირლანდებით. ცენტრალურ ფასადზე დაიდგა ბაზალტში კვეთილი დიდი ზომის, კვერცხისებური ფორმის ლარნაკები, მათზე ოთხმხრივ დამონტაჟებული ბრინჯაოში ჩამოსხმული გირლიანდებით. ფასადების კომპოზიციას ასრულებდენ ბრინჯაოში ჩამოსხმული შპილები, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა ფლიგელის ფრონტონისა, რომლის მესამე სართულზე რუსულ ყაიდაზე მოწყობილი იყო მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ამ ფრონტონს ასრულებდა ასევე რუსული ეკლესიისათვის დამახასიათებელი იერსახის ბრინჯაოს ჯვარი.

ჩრდილო - აღმოსავლეთის ფლიგელის მეორე სართულზე მდებარე სამასწავლებლოს ინტერიერი მოხატული იყო ანტიკური ხანის თემატიკაზე შექმნილი სიუჟეტებით და აკროპოლისის არქიტექტურული კომპლექსის ხედებით.

აზომვითი სამუშაოების შესრულებისას დაფიქსირდა, რომ მძიმე დაზიანებების გამო შენობა მოჭიმული იყო რკინის ვანტებით. ამისა და აგრეთვე საბჭოთა პერიოდში მიმდინარე რემონტების გამო, ნაგებობას თანდათან დაუზიანდა, ჩამოცვივდა სარკმლის თავსართები სარტყელებით, ფრონტონების მორთულობანი გირლანდებით, ცენტრალური ნაწილის ოვალურ სარკმელში ჩასმული საათი, ბრინჯაოს შპილები და სხვა დეტალებიც.

საბჭოთა პერიოდში გაუქმდა ეკლესია, მოიხსნა ფრონტონზე აღმართული ჯვარიც. მასიური მოწესრიგებული რუსტირება შეიცვალა შემსუბუქებული რითმით. დაირღვა გეგმარება, დაიკარგა და განადგურდა შესანიშნავი ინვენტარი და ფურნიტურა.

1991-1992 წ.წ. სამოქალაქო ომის შედეგად „თბილისის კლასიკური გიმნაზია" მთლიანად განადგურდა, დაიწვა. შედარებით შენარჩუნდა შენობაზე მოგვიანებით მიდგმული ფლიგელები, დაზიანდა სკოლის წინ მდგარი ილიას და აკაკის ძეგლი, ილია ჭავჭავაძეს ტყვიის რიგით კიდევ ერთხელ დაუცხრილეს სხეული და გული.

## რეკონსტრუქციის პროექტი და სამშენებლო სამუშაოები

თავდაპირველად საუბარი იყო შენობის აღდგენაზე, მაგრამ შემდგომ შენობის არამდგრადობის დასკვნის საფუძველზე, სამთავრობო დონეზე გადაწყდა, რომ შენარჩუნებულიყო მხოლოდ ფლიგელები, შენობა კი მთლია-





ნად დაშლილიყო და აშენებულიყო თავიდან რესტავრაციის პრინციპების დაცვით. რეკონსტრუქციის პროექტი და ტექნიკური დოკუმენტაცია შესრულდა 1992 წ. სსი „თბილქალაქპროექტში“, მე-9 არქიტექტურული სტუდიის ხელმძღვანელის, არქიტექტორ თ.ჯაფარიძის ავტორობით. შემდგომ, მე-2 ეტაპად განსაზღვრული იყო სკოლის მეორე კორპუსის აგება სკოლის ეზოში, უკანა ფასადიდან მოშორებით, ფასადის პარალელურად. დღევანდელი სკოლის შენობაში რეალურად მოწყობილია ბაზალტის კიბე, პერსპექტივაში ასაშენებელ მე-2 კორპუსში გალერეიდან მოსახვედრად. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს №11 და №2 სამშენებლი ტრესტებმა.



## რესტავრაციის და სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების წარმართვის მეთოდიკა

„თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ რესტავრაციის პროექტი და ნატურაში შესრულებული სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოები შესრულებულია ყველა ზემოთ მოყვანილი კვლევის, აღწერის, ანალიზის საფუძველზე, ისტორიულ-საარქივო მასალის ბაზაზე, გიმნაზიის მშენებლობისას თავდაპირველად გამოყენებული მასალების ანალოგიით, არსებული თუ შემორჩენილი დეტალების ბაზის და შაბლონების გამოყენებით, რესტავრაციის მეთოდოლოგიის სრული დაცვით.





1995 წლის სასწავლო სეზონს „თბილისის კლასიკური გიმნაზია“ აღდგენილი სახით შეხვდა. და, პირადად ჩემი სახელით, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ პერიოდის ლეგენდარულ დირექტორს, ქალბატონ ლია შეწირულს, იმ დიდი წვლილისთვის, რაც მან შეიტანა „თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ აღდგენის საკითხში.















**ეკლესია.** აღსდგა და ქართული ხატწერით მოიხატა გიმნაზიაში ადრე გაუქმებული და დღეს მოქმედი „ მარიამ ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია“, ხოლო ფლიგელს, (რუსთაველის პროსპექტის მხარეს) დაედგა ეკლესიის სახელზე ნაკურთხი ბრინჯაოს ქართული ჯვარი.

**სამასწავლებლო.** სკოლის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, სამასწავლებლოში არქიტექტორ ნ. ზაზუნიშვილის ხელმძღვანელობით და მეცენატთა დაფინანსებით აღსდგა კედლის ფერწერა, რომლის შესახებ ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ შევიტყვე. მხატვრობის პროცესში, ჩემი ჩართულობის შემთხვევაში, მოვითხოვდი ძველი და ახლად აღდგენილი კედლის მხატვრობას შორის მსგავსების შენარჩუნებას, მხატვრული წერის მანერისა და ფერის დაცვით. აღსდგა სკოლის სააქტო დარბაზი და აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით. აღსდგა სკოლის მუზეუმი ბადრი პატარკაციშვილის ფონდის მონაწილეობით. აღსდგა და კეთილმოეწყო სკოლის ინტერიერი და ექსტერიერი.

**პრობლემები:** „თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ ექსპლოატაციაში შესვლიდან 20 წელზე მეტი გავიდა. შენობის ფასადებს ეტყობათ მოუვლელობა. ბუნებრივია, სკოლის ხელმძღვანელობა ვერ შესძლებს ამხელა შენობის სრულ წესრიგში შენახვას, ფასადების თუ სხვა დეტალების ფორმაში შენარჩუნებას, თუ მას ზემდგომმა ორგანოებმა არ გაუწიეს დახმარება. დრო ბევრ რამეს განაპირობებს, ცვლის არსებულ გადაწყვეტილებებს ახლით, ხან უკეთესით და ხან უარესით, ხშირად, ადამიანთა გაუმაძღრობის გამო, ამახინჯებს, კიდევაც, ადრე შექმნილს. ეს, ამ შემთხვევაში ეხება აღდგენილი სკოლის უკან, მის ეზოში ასაშენებელი მე-2 კორპუსის ადგილას, აღმართულ ახალ, მრავალსართულიან სახლს. უცნაური, ქალაქის ისტორიული ნაწილისთვის შეუფერებელი არქიტექტურის მქონე სახლი-ვეშაპი, თავისი მასშტაბით, ზომა-წონით გარშემო ყველაფერს ყლაპავს, ფარავს, ჭყლეტს. ინტერესს იწვევს, თუ როგორ გახდა სკოლის კუთვნილი მიწა ამ სახლის მეპატრონეთა საკუთრება? როგორ, რა ნორმების ფარგლებში შეითანხმა, დაამტკიცა თბილისის მერიამ სასწავლო დაწესებულებასთან მიჯრით მიდგმული ეს საცხოვრებელი კორპუსი? სად ჩანს სახელმწიფოს ზრუნვა ისტორიული ძეგლების და სასწავლო დაწესებულებების, ქალაქგეგმარებითი საკითხების, საკუთარი დედაქალაქის მიმართ?

ამ პოზიციებიდანვე, არანაკლებ ზიანს აყენებს „თბილისის კლასიკურ გიმნაზია“-ს და მის მომცველ გარემოს, მის წინ, სრულიად გაურკვეველი იერსახის შენობის მშენებლობაც. ასევე საფრთხეს წარმოადგენს დღეს საზოგადოებისთვის წარმოდგენილი ყოფილი „კავშირგაბმულობის“ სახლის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული მოსალოდნელი მშენებლობა.

გვავიწყდება, რომ ისტორიულ ზონაში შენობათა მიმყოლი სივრცეები და გარემო ასევე შეადგენენ ისტორიული ქალაქის განუყოფელ ნაწილს. მათი პროექტირება-რეკონსტრუქციისას უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს.

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲠᲘᲜᲔ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ





კონცეპცია

CONCEPT

# საქართველოს ქალები ხუროთმოძღვრებაში

2014 წლის 12 დეკემბერს 15:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით "საქართველოს ქალები ხუროთმოძღვრებაში“.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, თითქმის ყველა სფეროში ქართველი ქალები წარმატებულად მოღვაწეობენ. მათ შორის გახლავთ ისეთი, ერთი შეხედვით „არაქალური“ პროფესიები, როგორიც არის სამშენებლო ბიზნესი და ხუროთმოძღვრება. განსაკუთრებულია ქალების წვლილი ქართული დიზაინის განვითარების საქმეში.

სწორედ ქალების მნიშვნელოვანი როლის შეფასებასა და დაფასებას აღნიშნულ სფეროში და მათი საქმიანობის შემდგომი მოტივირების წახალისებას მიეძღვნა ფორუმი, რომელიც გამოფენისა და დიალოგის ფორმატში გაიმართა. ფორუმის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს სამშენებლო სექტორში ქალების კარიერისა და სამეწარმეო გამოცდილების განვითარების პერსპექტივა; ქალთა ქსელებისა და ბიზნეს გაერთიანებების ფუნქციონირება; მათი მიზნები, მიზნის მიღწევის გზები და მეთოდები; ქალთა ქსელების სტრატეგიები, აგრეთვე ქალთა ქსელების მხარდაჭერის ფორმები. მათი ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა, კრეატიული მრეწველობის, განსაკუთრებით არქიტექტურისა და დიზაინის ხელშეწყობის გზები და მეთოდები ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბებით.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა "კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში”. მხარდამჭერები – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. საგამოფენო პლაკატების და ექსპოზიციის დიზაინის ავტორი - არქიტექტორ/რესტავრატორი ირინე შარაშენიძე.

ღონისძიებამ სამი დღე გასტანა.

პირველ დღეს შედგა ქართველ არქიტექტორ ქალთა ნამუშევრების გამოფენის: „მშენებლობა და დიზაინი ურბანულ კონტექსტში“ დათვალიერება; პრეზენტაცია გახსნა არქიტექტორთა კავშირის ეთიკის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ცომაიამ.

გამოფენის მსვლელობას აფორმებდა მუსიკალური პროგრამა: „მოგზაურობა კლასიკური მუსიკის სამყაროში“ - ქალთა სიმები-
















ანი კვარტეტის შესრულებით.

ღონისძიების მეორე დღეს გაიმართა დისკუსიები. განიხილებოდა სხვადასხვა აქტუალური თემები და საკითხები.

დისკუსიებში ღონისძიების ორგანიზატორების და საქართველოს მხრიდან მონაწილეობა მიიღეს:

ბირგიტ მაიერმა - (არქიტექტორი, დიზაინერი. კიოლნი, გერმანია) – კრეატივი და ინოვაცია მეწარმეობაში.

დისკუსიის ხელმძღვანელი გახლდათ ნინო მანჯავიძე (არტ სტუდიო, თბილისი, საქართველო);

საბინე შნურბუშმა - ბერლინის მშენებელ ქალთა გაერთიანება (ბერლინი, გერმანია) – ქსელური თანამშრომლობა წარმატებული და მდგრადი ბიზნესისთვის.

დისკუსიის ხელმძღვანელი: ირმა დაუშვილი (მეწარმე ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველო);

დოქტორმა დაგმარ იეგერმა (ბერლინის არქიტექტორთა პალატა, გერმანია)

დისკუსიის ხელმძღვანელი: პროფ. ნანა ქუთათელაძე (სსა, თბილისი, საქართველო)

მარიტა რიდელიმ (GIZ PSD SC) – საერთაშორისო ტრანსფერი და პრობლემის მოგვარების კრეატიული და შედეგზე ორიენტირებული მეთოდების გაზიარება.

დისკუსიის ხელმძღვანელი: ლია მიქაძე (სტუ, თბილისი, საქართველო).

ამავე დღეს განხილული იქნა აქტუალური თემა: ქალთა წვლილი ქართული არქიტექტურის განვითარების საქმეში.

ღონისძიების მეორე, დისკუსიებით დატვირთული დღე სამხარით, „მანდილის“ ღვინის დეგუსტაციით და მუსიკალური პროგრამით („ღვინო, ქალი და სიმღერა“) დასრულდა.

ღონისძიების მესამე დღეს კი ჩატარდა ვორკშოპი საქართველოში სამშენებლო ბიზნესში მოღვაწე ქალთა ქსელის შექმნასთან და შემდგომი ინიციატივების დაგეგმვასთან დაკავშირებით. გაიმართა საჯარო საუბრები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პროფესიონალმა ქალებმა: არქიტექტორთა კავშირის ეთიკის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ცომაიამ, არქიტექტურის აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა მედეა მელქაძემ, არქიტექტორ-რესტავრატორმა ირინე შარაშენიძემ, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის დირექტორმა და ჟურნალი „სტილის“ რედაქტორმა ნინო ლაღიძემ.

ამავე დღეს შედგა ღვაწლმოსილ და ახალგაზრდა წარმატებულ არქიტექტორ და დიზაინერ ქალთა დაჯილდოვება. ღონისძიება მუსიკალური პროგრამის „ქალები და ჯაზის“ ფონზე დასრულდა საზეიმო ვახშამით და კომპანია „შუხმან ვაინსის“ ღვინოების დეგუსტაციით.

# Georgian Women in Architecture

On 12th of December 2014 at 5 p.m. Georgian National Museum Tbilisi History Museum opened the exhibition „Georgian Women in Architecture“.

Georgian women are actively and successfully involved in every stage of society revolution. Even in professions such as construction business and architecture. Women played exceptional role in the process of design development in Georgia.

Exhibition aims to highlight women's role in architecture and motivate them on further self-development. Participants of the forum discussed perspectives of young women's involvement in construction sector; functioning of women's business networks, their aims, strategies of success and overcoming obstacles. Also delegates discussed means of Institutional support in the sector of architecture and design.

Event is organized by German Development Corporation (GIZ) project „Private sector development in the south Caucasus“. Forum is supported by Georgian National Museum, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Ministry of Education and Science of Georgia, Association of Architects of Georgia and Georgian Union of Architects.





















# არქიტექტურული აზროვნება - რა არის ეს?

არქიტექტურის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი, პროფესორი მედეა მელქაძე

**„მხატვარი ბოჰემაა, არქიტექტორი - არისტოკრატი…"**
**ალვარ აალტო**



მარცხნიდან მარჯვნივ; ლევან ელოშვილი, ილია ჩანგელია, ნინო ბუჩუხიშვილი, მიხეილ დიასამიძე, აკაკი გვილავა, ანა თევდორაძე, შოთა კენჭიშვილი, მარიამ მაღლაკელიძე, მარიამ ბუჟღულაშვილი. ლექტორები:მედეა მელქაძე, ზაზა სვანაძე.

From left to right: Levan Eloshvili, Ilia Changelia, Nino Buchukhishvili, Mikheil Diasamidze, Akaki Gvilava, Ana Tevdoradze, Shota Kenchishvili, Mariam Maglakelidze, Mariam Bujgulashvili. Teachers: Medea Melkadze, Zaza Svanadze.

## პრეამბულა

ქართულ ენაში არქიტექტორი - ხუროთმოძღვრად იწოდება. ხუროთ-მოძღვარი, მოძღვარი-დამრიგებელი, გზის გამკვლევი-წინამოშირალი…

ჩვენი მასწავლებლები აუდიტორიაში შემოსვლიდან პირველსავე წუთებში გვეუბნებოდნენ - ჩვენ მომავალში კოლეგები ვიქნებით და ამიტომ…

კოლეგობა იყო და არის შემოქმედების ნებისმიერ დარგში შეგირდისა და დამრიგებლის ურთიერთობის კამერტონი…

ამიტომაც, არქიტექტურაში, მიზანმიმართულად მიდიოდნენ ან უდაოდ ნიჭიერი (კარგად ხატავს, ხაზავს და ა.შ.) ან ოჯახური ტრადიციის გამგრძელებელი ახალგაზრდები. შესაბამისად, სააზროვნო-შემოქმედებითი არეალი, ამ არცთუ დაბალი დონის კონტექსტში მყოფობდა.

ბოლო ათწლეულებში, განათლების პრინციპების ცვლის პერიოდში, ეს მდგომარეობა სულ უფრო დეგრადირდება და ამორფული ხდება.

- რა არის არქიტექტურული აზროვნების განმსაზღვრელი პარამეტრები? -შეიძლება კი აზროვნების გარკვეულ პარამეტრებში მოქცევა? - პასუხია - შეიძლება…, მაგრამ, თუ შემოქმედებას შევეხებით, მაშინ, ნებისმიერი ადამიანი ამ ცნებას - შემოქმედებას, აუცილებლად მის თანამეწყვილეს - თავისუფალს დაუკავშირებს და შესაბამისად, აზროვნების გარკვეული ვექტორების პარამეტრებში მოქცევის დოქტრინას, წყალს შეუყენებს.

სწორედ აქ, ჩვენ გვაქვს საშუალება ვისაუბროთ არქიტექტურაზე, როგორც არა მონო, არამედ პოლივექტორულ, ინტერდისციპლინარულ დარგზე, რომელშიც თანაბარწილად ერთიანდება, როგორც შემოქმედებითი, ისე მეცნიერული და საინჟინრო აზროვნებითი სისტემები.

ამიტომაც, თუ შევეხებით არქიტექტურული სწავლების მეთოდოლოგიას, მასში ასიმეტრიულ წონასწორობაში უნდა მოიაზრებოდეს ყველა ზემოჩამოთვლილი აზროვნებით-შემოქმედებითი სისტემები.

არსებული მდგომარეობა . არქიტექტურის სწავლების ზოგადი მეთოდოლოგია თავის თავში დროში დიფერენცირებულ და დონეების მიხედვით I-დან III კურსამდე ჩამოყალიბებულ, ლოგიკურ განვითარებაში ჩასმულ დისციპლინარულ სისტემას მოიაზრებს (პროპედევტიკიდან დაწყებული კონსტრუქციებით დამთავრებული).

ამ საერთო სისტემის კონტექსტში, ჩემს მიერ წარმოდგენილი მეთოდი, რომელსაც ჩვენ

- ბატონი ზაზა სვანაძე - არქიტექტორი, ნიჭიერი ხელოვანი, ჩემი მეგობარი და მე ვხემძღვანელობთ - შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: არქიტექტურული აზროვნებითი სისტემის შექმნა არქიტექტურულ-საინჟინრო ხელოვნებისა და მეცნიერული უნარ-ჩვევების ჰარმონიზაციის გზით.

საყმაწვილო აზროვნებითი აპათია. - რა არის ეს? რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? ამ სახის აპათია,ზოგადად, ჩვენი საზოგადოების ნიშანს წარმოადგენს: სურვილის თეორიულ დონეზე მყოფობა და ქმედების აქტიურ ფაზაში გადაუსვლელობა

რა არის ის გზა, რომლითაც დაიძლევა საყმაწვილო აზროვნებითი აპათია? მოკლე პასუხია: - ეტაპურად - აღმავლობით მოძრავი სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, რის შედეგადაც მიიღწევა დასახული მიზანი. თვით ლექცია, რომელიც არქიტექტურული პროექტირების კურსს წარმოადგენს, ჩვენს მეთოდოლოგიაში შედგება რამდენიმე ეტაპისგან, რომელთაგან ყოველი ერთიმეორისგან გამომდინარე შეკრულ ციკლს წარმოადგენს და მივყავართ დასახული მიზნის რეალიზებისაკენ.

## მზერა წარსულში

ყოველი ზემოთქმულის საფუძველს წარმოადგენს ბატონი ნოდარ ქვათელაძის კონცეფცია არაარქიტექტურის შესახებ. რომელიც, ჩაისახა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის - ნო-



მედეა მელქაძე







სტუდენტი:
მარიამ მაისურაძე
ხელმძღვანელები:
მედეა მელქაძე და
ზაზა სვანაძე

**ესსე**

**დამოკიდებულება**

ემოცია, აღქმა, შეგრძნება შეხებით, შეხედვით, დამოკიდებულება მრავალგვარი, მრავალფეროვანი - საგნებთან, მოვლენებთან. დამოკიდებულება რაღაც შენთვის უჩვეულოსთან, საინტერესოსთან - გხდის დამოკიდებულს, არა ყოველთვის პოზიტიურს. გიქმნის შენს სამყაროს.





დარ ქვათელაძის, გოგი თაყაიშვილის, ზაზა სვანაძის და მედეა მელქაძის – წიაღში.

რა არის არაარქიტექტურა – არა არქიტექტურა? არქიტექტურაში, თვით ტერმინი, არაარქიტექტურა, როგორც ზემოთ ითქვა, ბატონ ნოდარ ქვათელაძეს - ჩემს მასწავლებელს, დიდ შემოქმედს, უბადლო არქიტექტორს, საოცარ თვითმყოფად ფერმწერს, მოაზროვნეს და ფარულ პოეტს ეკუთვნის.

თავის დროზე, ყოველთვის დაუფარავ გაოგნებას იწვევდა ეს ე.წ. ეფემერა - არაარქიტექტურა - როგორ შეიძლება არქიტექტურა იყოს არა არქიტექტურა? - კითხულობდნენ ირონიით, პასუხი იყო: დახედეთ დამწერლობას. არა არა არქიტექტურა, არამედ ერთად, ან დეფიზით - არაარქიტექტურა, არა-არქიტექტურა. უარყოფა სათაო ცნებისა - არქიტექტურა - ლოგიკურად იწვევს იმის პრიორიტეტის ხაზგასმას, წინ წამოწევას, სადაც ნებისმიერი სახის არქიტექტურა რეალობაში მყოფობს - ბუნებრივი გარემო.

ბუნება, ბუნება და კიდევ ერთხელ ხელთუქმნელი გარემო - ბუნებრივი სამყაროს პრიორიტეტი - ნებისმიერ ხელთქმნილზე, მხოლოდ ეს გზა არის სწორი, რომელსაც მივყავართ ადამიანისთვის ჰარმონიული საარსებო სივრცის შექმნისკენ.

სწორედ, ჩვენი მეთოდი, ამ გზის გაკაფვისა, ემსახურება სტუდენტის აზროვნებაში მისი შესაბამისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ზემოთ მოყვანილი ესსეს ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენი ორი ჯგუფის სტუდენტების მიერ შექმნილი პროექტები, ესსეები და ინსტალაციები.









# What is architectural thinking?



Now that architectural education is universally available and attracts young people from all walks of life, not only those with architectural talent or pedigree, the question of defining what architectural thinking is and whether it is possible to teach it becomes increasingly important.

Architecture is a polivectoral, interdisciplinary art, which equally integrates creative, scientific and engineering thinking systems. Consequently, architectural education methodology should balance all of the above.

Within the universally applied education methodology, implying gradually unwinding and logically complete process of teaching the given disciplinary system from propedeutics to structure design, architects Zaza Svanadze and Medea Melkadze offer a natural approach, which efficiently overcomes the teenage thinking apathy and gradually develops architectural thinking system balanced on architectural and engineering art and scientific skills.

*Doctor of Aarchitecture,*
*Advisor to the Engineering Academy of Georgia*
*Professor Medea Melkadze*



სტუდენტი:
მარიამ მაღლაკელიძე

ხელმძღვანელები:
მედეა მელქაძე და
ზაზა სვანაძე









## ცა

...რატომღაც ოცნების დროს ყველა ცას უყურებს, რატომ? ცა რაში დაგეხმარება? ხელს გამოგიწვდის, ფულს მოგცემს, რომ შენი ოცნების მანქანა იყიდო თუ რა?

არა, ცას მაშინ უყურებენ, როდესაც, შინაგანიდან წამოსულზე ოცნებობენ, დახმარებას კი არავინ ელის, უბრალოდ ცა დიდია, შორსაა და არც გაგკიცხავს, არც შეგარცხვენს, არ დაგჭირდება თვალების დახრა, უყურე რამდენიც გინდა, ელაპარაკე რაც გინდა რაზეც გინდა. გისმენს, გისმენს თან არც იღლება ეს ოხერი არასოდეს.



სტუდენტი:
რამაზ პაიჭაძე

ხელმძღვანელები:
მედეა მელქაძე და
ზაზა სვანაძე









## სტყვა

სიტყვით ვფასდებით ადამიანები, მას წარმოვთქვამთ ენით, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაძი განსაზღვროს ჩვენი ადგილი.







# ვენეციის 56-ე ხელოვნების გამოფენა.....

## 56th International Art Exhibition.......





ფოტო: კულტურის სამინისტრო / გელა ბედიანაშვილი

2015 წლის ვენეციის 56-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე საქართველოს სახელით პროექტი „მცოცავი საზღვარი“ წარდგება. პროექტის კურატორია - ნია მგალობლიშვილი, არტისტები - რუსუდან გობეჯიშვილი, ირაკლი ბლუიშვილი, ნია მგალობლიშვილი, სოფიო შევარდნაძე, ია ლიპარტელიანი და ჯოზეფ საბია.

პროექტი წარმოადგენს სხვადასხვა საკნებისგან შემდგარ სისტემურ ჯაჭვს. ის ინტერაქტიულია. მის შინაარსს წარმოადგენს „საზღვარი, როგორც გეოგრაფიული დანაწევრების სისტემა და ამავდროულად, როგორც ცნობიერების მართვის ინსტრუმენტი, რომელიც განიცდის ევოლუციას საზოგადოების ცნობიერებასთან ერთად - დავამსხვრიოთ საზღვრები ცნობიერებაში და დავინახოთ მსოფლიო საზღვრების გარეშე და პირიქით.

ბიენალეზე საქართველოს სახელით წარსადგენი პროექტის გამოსავლენად შექმნილმა საკონკურსო კომისიამ შემოსული 12 პროექტიდან საუკეთესო, ფარული კენჭისყრითა და ხმათა უმრავლესობით შეარჩია.

ვენეციის 56-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა იტალიაში 2015 წელს 9 მაისიდან 22 ნოემბრამდე გაიმართება, - ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეს ერთ-ერთ მთავარ საგამოფენო სივრცეში -„არსენალეზე“ განთავსდება.

ვენეციის ბიენალეს წლევანდელი თემაა „მომავალი სამყაროს მრავალფეროვნება (All the world's futures).

ვუსურვოთ წარმატებები პროექტს ვენეციაში.





პროექტის კონცეფცია:

ჩვენი პროექტი წარმოადგენს სხვადასხვა საკნებისგან შემდგარ სისტემურ ჯაჭვს, პროექტი არის ინტერაქტიული, მის შინაარსს წარმოადგენს "საზღვარი" როგორც გეოგრაფიული დანაწევრების სისტემა და ამავდროულად როგორც ცნობიერების მართვის ინსტრუმენტი, რომელიც განიცდის ევოლუციას საზოგადოების ცნობიერებასთან ერთად. კაცობრიობის ნაწილმა მოახერხა დაენგრია სასაზღვრო ბარიერები და გაეფართოვებინა ნდობისა და მეგობრობის ჰუმანური სივრცე, თუმცა არის სხვა სამყაროც, სადაც ჯერ კიდევ ზეიმობს შუღლი და უნდობლობა, რასობრივი და რელიგიური შეუწყნარებლობა, აგრესიული სეპარატიზმი და დაცოცავენ ამ ქვეყნად ახალი მავთულხლართები თუ სხვა სასაზღვრო ზღუდეები. ადამიანთა გამიჯვნა ახალი დაპირისპირებასა და გაუცხოებას იწვევს, სახიფათო და ღირსების დამთრგუნველია ამ ზღუდეების გადალახვა.

დავამსხვრიოთ საზღვრები ცნობიერებაში და დავინახოთ მსოფლიო საზღვრების გარეშე თუ პირიქით..

სწორედ მცოცავი საზღვრების ქვეყნიდან იწყება ჩვენი პროექტი:

პირველი ზონა: COSTUM SERVICE მესაზღვრე - კოსტიუმირებული მანეკენი და წითელი ნათება როგორც სიმბოლო ფიზიკური და სულიერი ბარიერის, მავთულხლართები და დღევანდელი საქართველოს ამსახველი "მცოცავი საზღვრების" ფოტოკოლაჟი. ამ ზონის გასავლელად ვიზიტორი იხდის ფეხზე, ფეხსაცმელს ანთავსებს ერთჯერად პოლიეთილენის პარკში "ბარ-კოდი"-თ, პარკით ხელში ინდივიდი შედის: LEVEL#1 - ზონაში, საკანი სარკის შირმებით და სარკის იატაკით, სადაც პიროვნება ხედავს საკუთარი თავის ანარეკლს სხვადასხვა სილუეტთან ერთად.

INFORMATION HOLE - შავი დერეფანი, ინტერაქტიული ინფორმაციული ვიდეორგოლით და აუდიო ეფექტით, ამ დერეფანში ხდება გააზრება იმ მოვლენებისა რამაც ადამიანის ცნობიერება საზღვრებში მოაქცია, ემოციური სტრესისა და შიშის შემდეგ ვიზიტორი გადადის კუნსტკამერაში: LEVEL#2 - სადაც შიშველი ფეხებით გრძნობს ქვიშას. ეს ოთახი შემოსაზღვრულია დაკონსერვებული ქილებით, სადაც მოთავსებულია გადაშენებული ცოცხალი ორგანიზმები, საყოფაცხოვრებო ნივთები და ემბრიონები როგორც სიმბოლო ჩვენი ყოფიერების, წარსულის, აწყმოსი და მომავლის.

HOLE ისევ გარდამავალი დერეფანი, პოლიეთილენის კედლებით, – მსხვრევის აუდიო ეფექტით და ბოლოს: LEVEL#3 საკულმინაციო საკანი ვიდეოარტით, ერთგვარად ირონიული დასასრული სადაც განვლილი ცხოვრების რეზიუმეს ინდივიდი აკვირდება უნიტაზიდან.














Our project presents the systemic chain consisting of different chambers. This is an interactive project with the main content “Border”. “Border” representing system of geographical dismemberment and also an instrument of governing consciousness, which rapidly evolves and changes the mind set of the society. Part of humanity has managed to destroy the border barriers and extended the trust, friendship and humanity, however, a different world exists, where the hostility and distrust, racial and religious intolerance, aggressive separatism are still celebrated and new crawling borders or other barriers emerge. The differential treatment of humans causes conflicts and alienation and overcoming these barriers becomes dangerous and infringes human dignity. Lets break the boundaries of consciousness and view the world without borders or vice versa …

Georgia is a country of crawling borders and this is the starting point of our project.

THE FIRST ZONE

CUSTOMS SERVICE - border-guard, a manikin in lounge-suit, a red light as a symbol of physical and spiritual







barrier, wire entanglement and the photo collage of crawling borders of Georgia. Passing this zone, a visitor has to take off the shoes and place them in a plastic bag with a bar code.

LEVEL#1 - in this zone a chamber with the mirror screens and mirror floor, where a person sees his reflection with different silhouettes.

INFORMATION HOLE - a black corridor, where through interactive awareness raising video and audio effect human being comes to know the events that place human conscious in borders . After overcoming fear and emotional stress, the visitor proceeds to Kunstkamera

LEVEL#2 - space a barefoot visitor feels the sand. This room is surrounded with canned tins, which contain extinct organisms, life objects and embryos as symbols of our past, future and present.

HOLE - a transitional corridor with crashing sounds.

LEVEL#3 - The final, culminating and ironical ending point - chamber with video art, where individual observes recap of the past life from the toilet seat.










# Rooms Hotel თბილისი

დამაიმედებელად ძველი და ახლებურად ლამაზი ვერა ქალაქის შიგნიდან შეგრძნების შესაძლებლობას იძლევა. სანამ ერთი ადამიანი ძველი თბილისის ხედებით ტკბება, მეორე, შესაძლოა, თანამედროვეობის გიჟურ რიტმს გაეცნოს.

ვერა თბილისის ცენტრში, მთებზე, რუსთაველის გამზირის ზემოთ არის განლაგებული. პატარა და ქარიანი ქუჩებით და მთის ძირას აშენებული სახლებით, ვერის უბანი განსაკუთრებულ გრძნობებს გაგახსენებთ. ძველი დროიდან მოყოლებული თბილისის ეს ნაწილი ხელოვანებისა და კომპოზიტორების შთაგონების წყაროდ იყო ქცეული. მრავალი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, მწერალი, თეატრალი და პოეტი ვერის მკვიდრი იყო. პირველი ქართული მიუზიკლი, რომელიც 1973 წელს გადაიღეს, „ვერის უბნის მელოდიები“ ერქვა.

ჭოველიძის ქუჩას ადრე „აგურის ქუჩას“ უწოდებდნენ. ის მე-19 საუკუნეში გაშენდა. მას სახელი 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ ჭოველიძის პატივსაცემად დაერქვა.

საბჭოთა კავშირის დროს ამ ქუჩაზე აგებული შენობა გამომცემლობად იყო ქცეული და მას მრეწველობითი დანიშნულება ჰქონდა. არქიტექტორებმა პროექტის განახლებაზე დიდი დრო და ენერგია დახარჯეს და გამომცემლობა სასტუმროდ გარდაქმნეს. აქ გამოყენებულია მელირებული მუხის ხე, მელირებული აგური, რკინა და თუჯი. შენობის კონცეფცია ისტორიული ფაქტების გამოყენებას გულისხმობდა. ხის პირვანდელი ფანჯრები აღდგენილია.

თბილისის ამ ისტორიულ ნაწილში ავტომობილების პარკირება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით არქიტექტორებმა უჩვეულო ხერხს მიმართეს. მათ სასტუმროს ქვეშ 200 მანქანაზე გათვლილი ავტოფარეხი შექმნეს.

**პროექტის ავტორი:** სახელოსნო Adjara Arch Group.
**მთავარი არქიტექტორი:** გოგა ჩხეტია.
**არქიტექტორები:** ალექსანდრე მაღლაკელიძე, გივი მაჭავარიანი, გოგი სახელაშვილი, გორგი მიქაბერიძე, გიორგი ბუტულაშვილი,
**პროექტ მენეჯერი:** არქიტექტორი ია ჩეხერია, კატია სამსონაძე.
**ინტერიერის დიზაინი:** Adjara Arch Group და როომს.
**კონცეპტიდეის ავტორი:** თემურ უგულავა.

**ფოტომასალა: ალექსანდრე მაღლაკელიძე და Rooms Hotel თბილისი**









# Rooms Hotel Tbilisi

Reassuringly old and refreshingly new Vera neighborhood offers authentic city experience. While preserving the feel of an Old Tbilisi, one can feel the buzzing energy of modernity. Vera is centrally located on the hills just above the main Rustaveli Avenue. With small winding streets and houses built on the steep hills, Vera district has and always will have special feel to it. From olden days this part of Tbilisi has been a source of inspiration for various artists and songwriters. Many famous Georgian historians, playwrights, theatrical figures and renowned poets have inhibited Vera district. First Georgian musical shot in 1973 was called "Melodies of Vera".

Chovelidze Street, formerly called Brick Street, originated in the 19th century, named after Tamar Chovelidze, who tragically died fighting for Georgia's independence and unity on April 9, 1989

in soviet times this building was publishing house and it had industrial look. Architects had a lot of heritage and story to work with in this renovation project. Materials used in this building is reclaimed oak wood, reclaimed brick forLoading... paving, even cast iron fence and hand rails are reclaimed. concept was to use as much history as possible and make strong bond with buildings industrial history. original wooden windows where restored. in this historical part of the city car parking is a huge problem so to improve this situation architects made innovative and quite brave move to dig under the building and connect street to underground storage spaces which later become car parking for 200 cars. Inner industrial yard is remodeled to be a good recreational area with lot of green plants. fireplace and bar.

**Authors:** Adjara Arch Group.
**Chief Architect:** Mr. Chkhetia.
**Architects:** Alexander Maglakelidze,
Givi Machavariani,
Gogi Sakhelashvili,
Giorgi Mikaberidze,
Giorgi Butulashvili.
**project manager:** architect Ia Chekheria, Katia Samsonadze.
**Interior Design:** Adjara Arch Group and rooms.
**concept by** Temur ugulava.

**Photo by Alexander Maglakelidze and Rooms Hotel Tbilisi**



















# რესპექტაბელური ინტერიერი

**საერთაშორისო კონკურსის – "არქიტექტურული პრემია 2014"–ს პრემირებული ობიექტი**

ავტორი: მარიკა ქურთიშვილი

ელეგანტური ინტერიერის შექმნის ახალი გადაწყვეტა წარმოგვიდგინა არქიტექტორმა მარიკა ქურთიშვილმა.

ამჯერად გაგაცნობთ თბილისის პრესტიჟულ უბანში (ერისთავის ქუჩაზე), საცხოვრებელი ბინის სივრცეს ზედმეტი სამკაულების და გადატვირთული დეტალების გარეშე, რომელიც, ოჯახის ქალაქურ ცხოვრებას კომფორტულს ხდის.

ინტერიერზე მუშაობა 2-3 წლის წინ დაიწყო. ბინის მფლობელმა, დახვეწილმა ქალბატონმა, ლიკამ საკუთარი საცხოვრებელი ინტერიერის შესაქმნელად მეგობარ არქიტექტორს, მარიკა ქურთიშვილს მიმართა. დრო იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ხანგრძლივი, მიზანმიმართული ძიების ფონზე ჩამოყალიბებულიყო საცხოვრებლის გეგმარების და მოწყობის ოპტიმალური, ოჯახისთვის მისაღები და სასურველი ვარიანტი.

საბედნიეროდ, ჩვენი მკითხველი აქრიტექტორ მარიკა ქურთიშვილის პროფესიონალიზმზე და გემოვნებაზე განმარტებას არ საჭიროებს, რადგან ჟურნალი "სტილის" ნომრებში, ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა მას. გარდა ამისა, მარიკა თავისი ქმნილებებით – განხორციელებული პროექტებით თუ ინტერიერებით – საერთაშორისო კონკურსების "არქიტექტურული პრემია" მრავალგზის ნომინირებულია.

სხვათაშორის წარმოდგენილი საცხოვრებელი სივრცეც – "არქიტექტურული პრემია 2014"-ს პრემირებული ობიექტი გახლავთ.

ინტერიერის შესაქმნელად, სხვადასხვა ვარიანტების განხილვისას, არქიტექტორი (ქალბატონი მარიკა) და დამკვეთი (ქალბატონი ლიკა) – ანუ მეგობრები, მივიდნენ ლოგიკურ და







სწორ გადაწყვეტამდე – მოდური, ექსტრავაგანტული, ფერადი პროექტი თავიდანვე უარყვეს და შეთანხმდნენ – არქიტექტორის ნააზრევის შედეგად ჩამოყალიბებულიყო წყნარი, კომფორტული ინტერიერი, დროისა და მოდის გარეშე, რადგანაც ოჯახის ყოველდღიური ცხოვრებისთვის, რომელიც შედგება საქმიანი მშობლებისგან, არანაკლებ საქმიანი ქალიშვილისგან და უმშვენიერესი პუდელისგან (რომელიც, დარწმუნებული ვარ, ასევე, საქმიანია) არსებობს განსაკუთრებული პრიორიტეტები – ადრე გაღვიძება, დროულად მოწესრიგება, მსუბუქად წასაუზმება, საღამოს ერთად თავმოყრა, ერთად ვახშმობა, ოჯახური საუბრები, და დასვენება.

კომფორტული სივრცის რაციონალური გამოყენება – ეს გახდა საცხოვრებლის ინტერიერზე მუშაობის პროცესის საფუძვლი.

საცხოვრებლის ყველაზე გაშლილი სივრცეებია სასტუმრო და სასადილო ზონები.

ვრცელი სამზარეულო არაჩვეულებრივი დიზაინის ტექნიკური არჭურვილობით და მომცრო გამჭვირვალე მაგიდით (ყველა დიასახლისის საოცნებო გარემო) იზოლირებულია, რა-







დგან არ დაირღვეს სასადილო ზონის პომპეზურობა, რომლის მთავარ გმირია ულამაზესი სასადილო მაგიდა . ის არა მარტო თავს უყრის ოჯახის წევრებს, არამედ ოჯახის სტუმართმოყვარეობის ერთგვარი სიმბოლოცაა.

სასტუმრო ზონა თავისი კონფიგურაციით, ორ მონაკვეთადაა დაყოფილი. ერთგან ოვალურ თეთრ დივანთან ხდება კონცენტრირება. მეორე კუთხის დომინანტი ბუხარია, რომლის გარშემო ფურნიტურით, თუ დეკორით მყუდრო კომფორთული გარემოა შექმნილი. სასტუმრო და სასადილო ზონების ვრცელი სი-









ვრცეების ჭერის სიბრტყეები დეკორითაა დანაწევრებული, ხოლო ეფექტური გასანათებელები ინტერიერის მნიშვნელოვანი დეკორატიული ელემენტებია და ფუნქციონალური ზონების ცენტრებს აქცენტირებენ.

სასტუმრო ზონი მოპირდაპირე მხარეს (ვრცელი კორიდორის გავლი) საძინებელი ზონა და დამხმარე სათავსოებია (დამხმარე პერსონის ოთახი, გარდერობი და ა.შ.) განთავსებული. საძინებლებში (ოჯახის წევრებისთვის, სტუმრისთვის) ინტერიერი, ფუნიტურა, დეკორი ისეა განაწილებული და გადაწყვეტილი, რომ გაღვიძებისთანავე დატკბე სიმყუდროვით და კომფორტით. სააბაზანო ოთახების (სააბაზანო ოთახი საცხოვრებელში რამდენიმეა) კედლები და იატაკი მოპირკეთებულია არაჩვეულებრივი სილამაზის, ფერისა და ფაქტურის მასალით. ქვის, თუ მეტლახის უჩვეულო ტექსტურა სააბაზანოების ნამდვილი სამკაულია.

საცხოვრებელი ინტერიერის ყველა ელემენტი, ერთი შეხედვით, მარტივი ფორმისა, დახვეწილი მასალითაა შესრულებული, ხოლო მთლიანი სივრცის ფერითი გამა ელეგანტურია და არაორდინალურ გარემოს ქმნის.

პროექტის ავტორი მარიკა ქურთიშვილი:

– ახლა ისეთი დროა, რომ ძნელია ვინმე გააკვირვო ფუფუნებით თუ სიმდიდრით. და ადამიანები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, უფრო მეტის ნება დართონ საკუთარ თავს, სულ უფრო ხშირად ირჩევენ მარტივ და კომფორტულ ინტერიერებს – არა, წვეულებებისა და დღესასწაულებისთვის, არამედ ქალაქური ყოველდღიურობისთვის. მსგავსი რაციონალურობა კი, სულაც არ გამორიცხავს ინტერიერის ელეგანტურობას და ძვირადღირებულ გაფორმებას.

ნინო ლალიძე











# საცხოვრებლი სივრცის მოდულური კომპოზიცია

დიზაინერული კომპანია „რუმსის“ დიზაინერების ნატო ჯანბერიძისა და ქეთი თოლორაიას პროექტით შექმნილი, საცხოვრებელი ინტერიერი თბილისში, თანამედროვე ესთეტიკითაა გაჯერებული. მასში მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი. თავისუფალი გეგმარება, გეომეტრიზმი და ფორმათა გრაფიკა ესთეტიკასთანაა შერწყმული. გამოყენებული მასალის ფაქტურა და ფერი, თავისუფალი მოცულობების და დეკორის თვალშისაცემი ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ინტერიერის თვითმყოფადობას, ავტორთა პროფესიონალიზმს.

საცხოვრებლი სივრცის მოდულური კომპოზიცია - არქიტექტონიკური ელემენტების პროპორციები ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და ინტერიერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს. საცხოვრებელი სივრცე, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, თავისი „ხასიათით“, იდენტურ მოპყრობას მოითხოვს. ზედმეტი დეკორატიული დეტალების იგნორი ლაკონური ფერითი კონტრასტებითაა კომპენსირებული, რაც დიზაინერთა დახვეწილ გემოვნებას დეკლარირებს. საცხოვრებლთა ფრაგმენტების საერთო ტონალობების, ფორმათა გრაფიკულობის თანაარსებობა მშვიდ, დადებით განწყობას ქმნის.

მთლიანობაში, ინტერიერი თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება და სრულად შეესაბამება მობინადრეთა მოთხოვნებს, გემოვნებას, ცხოვრების ესთეტიკას.

ნინო ლაღიძე

# The modular composition of residential space



Residential interior in Tbilisi, designed by ato Janberidze and eti Toloraia (esign Company Rooms), is saturated with modern aesthetics. It has a distinctive stylistic dominant. ree planning, geometric precision and graphic solution of forms is integrated with aesthetic beauty. Textures and colors of finishing materials, the apparent aestheticism of the d?cor serve to highlight the originality of interior design, as well as professionalism of its authors. The modular composition of residential space and proportions of architectonic elements combine creativity with functionality and increase originality of interior.

The lack of excessive decorative elements is compensated by eloquent color contrasts, which manifest the designers's. In spite of all its originality, the atmosphere in the house is uninhibited without being overly ingenious. The residential interior is organically integrated with the surrounding landscape, enriching the site with special emotional charge and fully conforming to its dwellers' requirements, taste and lifestyle aesthetics.









# პროფესიონალიზმის ქართულამერიკული ალიანსი

სახლის მეპატრონე, რომელიმე სტილისათვის უპირატესობის მიცემით, ხანგრძლივი დროით ირჩევს განსაზღვრულ ატმოსფეროს, ცხოვრების წესს. სახლში გამეფებული სტილი, კი თავად ზემოქმედებს მასზე. წარმოდგენილი ბინის ინტერიერის ავტორები, ახალგაზრდა არქიტექტორი სოფო ახვლედიანი (სოფო, დუბაის ამერიკული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია) და ამერიკელი დიზაინერი კატრინ ვონ სალდერნი (Catherine Von Saldern) არიან. ბინა, დუბაის (არაბეთის გაერთანებული საემიროები) პრესტიჟულ უბანში - "უბაი არინა", მაღალსართულიან სახლში - "e Reve" მდებარეობს. იგი, ოკეანეს გადაყურებს. საცხოვრებელი, წარმატებულ ინგლისელ ბიზნესმენს - რიჩარდ ბლერს (Richard lair). ეკუთვნის.

ავტორებმა - არქიტექტორმა და დიზაინერმა, სახლის მფლობელის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნეს. ავეჯი და დეკორატიული ნივთები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდანაა ჩამოტანილი. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, მასში სიმსუბუქე შეაქვს და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნის. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს.

თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. საცხოვრებელში, რომელიც 2006 წლის ბოლოს დასრულდა, ავტორებმა, მხოლოდ მისთვის აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შექმნეს. ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

წარმოდგენილ ფოტოებს დიზაინერული კომპანიის - VSRSI-ს ლოგოტიპით ვაქვეყნებთ, რომელსაც ამერიკელი დიზაინერი კატრინ ვონ სალდერნი ხელმძღვანელობს.

ნინო ლაღიძე







# Georgian-American Alliance of Professionalism

By giving preference to this or that interior style, house owner actually defines the atmosphere of his living environment for a long time to come, while the design of his house affects its dweller's lifestyle in its turn.

The authors of the interior, described in this article, are young architect Sophie Akhvlediani (graduate of Dubai American University) and American designer Catherine Von Saldern. The apartment, which these two ladies have designed, is a part of Le Reve highrise, located in Dubai Marina and overlooking the ocean. The apartment belongs to successful English businessman Richard Blair.

Based on the taste and preferences of its future dweller and their own professionalism, the authors - architect and designer - created a refined interior with clear architectural graphics, original furniture design and interesting colour solutions. The unity of constructional and decorative details visually expands the interior, highlights its form and defines the depth and intensity of its colours.

Unexpected design elements enrich the space with the sense of lightness and facilitate its planning. Within the stylistic integrity, individuality and functional specificity of each zone stand out with special acuteness. The apartment, which was finalized in 2006, possesses unique quality of comfort, naturally expressing its owner's taste and social status.

The photos accompanying the article are published under the logo of design company VONSALDERN-HAMEDDESIGN, managed by the American designer Catherine Von Saldern.

NINO LAGHIDZE







# ინტერიერის თავისუფალი სტილი

წარმოდგენილი ინტერიერის ავტორი არქიტექტორი მიშა ბალიაშვილი გახლავთ. მან, სახლის მფლობელის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შექმნა.

საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსივობას.

საცხოვრებელში, ავტორმა, აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შექმნა. ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების და სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე







# Free Style of Interior Design

House owners, giving preference to this or that particular design style, actually choose an atmosphere, in which they will exist for a certain amount of time and which will have its influence on their lives.

The author of this interior is architect Misha Baliashvili ( Director of Studio 3 Quadrates). Considering the taste and expectations of the house owner, they created a refined modern interior space with clear architectural graphics, original furniture and skillful color contrasts. Unexpected design touches add lightness to the residential space and increase the efficiency of its planning. In the stylistic integrity, individuality and functional specificity of each room stand out. All elements of the space serve to highlight the feeling of freedom, visually increase the space, accentuate its form, define the depth and intensity of colors.

Creating this interior, author endowed it with comfort and originality, which would not look natural in any other place. In other words, the design represents an incarnation of the inhabitants' taste and social position.

NINO LAGHIDZE





# ინტერიერის ორიენტირი



**ავტორი: გიორგი ფერაძე**

წარმოდგენილი ინტერიერის დიზაინი არაორდინალური და კომფორტულია. საცხოვრებლის ინდივიდუალურობას განასაზღვრავს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - საცხოვრებელ გარემოში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალ, ღია სივრცეში შესაბამისადაა შერჩეული ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები.

ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერია. მისი გრადაცია სიმყუდროვეს განაპირობებს, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს. საცხოვრებლის ხასიათი განათების საშუალებითაც ფორმირდება. ბუნებრივი და ხელოვნური განათების შერწყმით სხვადასხვა „მოცულობები" იქმნება და სივრცის კომპოზიციური ნიუანსები წინა პლანზეა წამოწეული.

აქ ყურადღებას თითოეული დეტალი იპყრობს. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

ნინო ლალიძე







# Orientation of Interior





**Author: Giorgi Peradze**

Design of this interior is unordinary and comfortable. Originality of the apartment is highlighted by highly individual features

- unexpected design touches, making the environment more uninhibited and comfortable, matching furniture, accessories and decorative articles.

Most important elements in the stylistic solution of the interior are color and lighting. Their gradations help define the character of house, provide an efficient background and highlight the shapes of any object, subtly bringing to the fore compositional peculiarities of the space.

Every part of the interior is original and attractive. When viewed from different angles, the components of the design gain special importance and exceed their utilitarian meaning.

NINO LAGHIDZE







# ტრადიციულის თანამედროვე არქიტექტონიკა



არქიტექტორ მიშა ბალიაშვილის მიერ შექმნილი ჩინური მაღაზია-სალონის ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მინიმალიზმი და სისადავე გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი.

ინტერიერის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული. მისი მთავარი ნიშანია არსებობის ფილოსოფია - კომფორტულობა და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „ისტორიულ ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის.

ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და აღმოსავლური ჟანრის ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. აქ მოხვედრისთანავე თითქოს არქიტექტორის მიერ შემოთავაზებულ ტრაექტორიას მივყვებით. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება, კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ფერის ერთი სიბრტყიდან მეორეში გადასვლით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებით - სწორი და მრუდი ხაზების, მხატვრული რეფრენებით მიიღწევა.

ინტერიერში კიდევ ერთი, მისი ვიზუალური „მოძრაობის“ - ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც არქიტექტორის მიერ შემუშევებული ეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლალიძე

# The Traditional Motives in Modern Architectonics







In the interior of Chinese Shop, designed by architect Misha Baliashvili, minimalism and simplicity are key principles integrating the space.

Interior represents a mixture of unexpected and pleasant dissonances. Its chief property is the philosophy of being, i.e. comfort and peace, saturating each detail (such an approach facilitates involvement of historical elements into the modern stylistics).

Architectonics of this space is both simple and complex, uninhibitedly beautiful and subjected to all the laws of Oriental genre. Integrity of the interior is achieved by the dynamic composition, regular variation of decoration motives, subtle color combinations, the rhythm of spatial and volumetric solutions.

Another idea, realized in this interior, is its visual mobility, illustrated by "stunt effects" and whole cascades of unexpected design solutions.

NINO LAGHIDZE





# საგნობრივი გარემოს ანტურაჟი



ახალგაზრდა დიზაინერების ნია მგალობლიშვილის, სოფო შევარდნაძის და ია ლიპარტელიანის იდეებით და პროექტებით ტიპიურ, საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივ სივრცეებში წარმოუდგენლად მცირე დროში ულამაზესი ინტერიერული მონაკვეთები იქმნება და თითქმის ყოველი, განხორციელებული პროექტი წარმატებულია.

ამჯერად, არ შევუდგებით მათი მუშაობის სპეციფიკის თუ კონცეპციის განხილვას და წარმოგიდგენთ კიდევ ერთ საცხოვრებელ ინტერიერს თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე.



საცხოვრებელში სივრცე ზედმიწევნით სწორადაა ორგანიზებული. ფერისა და მასალის ჰარმონიაში, ოსტატურადაა მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო ხასიათის შესაბამისად, გემოვნებითაა შერჩეული ფურნიტურა, ტექსტილი და აქსესუარები. უზადო დიზაინი, ერთიანი იდეითა და თემით გამთლიანებულ ინტერიერულ სახეს ქმნის, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა.

წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი თვითმყოფადია - დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკისაა.

სხვადასხვა დანიშნულების (საძინებელი, საერთო ოთახი, სამზარეულო კუთხე) და დიზაინერული თვალსაზრისით თვითმყობადი, დამოუკიდებელი მონაკვეთები არსებული მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. ორიგინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს.

ნინო ლალიძე
ფოტო ირაკლი ბლუიშვილი

# Material Surroundings with a Creative Turn

Over a comparatively short period of time, young designers Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani managed to realize their ideas and creative concepts in a number of residential and public interiors. Almost all of their projects are successful.

Far from engaging into a detailed review of their specifics and conceptions, we would like to present to your attention still another residential interior these young designers created in Kobuleti Street, Tbilisi.

This residential space is organized with utmost precision. The harmony of colors and design materials, a skillfully planned lighting system, stylistically and functionally relevant furniture, decorative articles and accessories…

Flawless design forms a conceptually integrated space, all the components of which are carefully considered to match both the style and the owners' personality. Original interior of the apartment we are describing here boasts a moderate but refined decor and absolutely unconventional stylistics. Various zones, differing by function (bedroom, living room, kitchen, etc.) and design, merge to form an integral, comfortable space.

Original atmosphere highlights the diversity of objects and manifests careful attention of design authors to every detail, which is a true declaration of their professionalism.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI





ახალი ამბები

NEWS

# Uniq Watches





დიზაინერი ზვიად ციკოლია, თითქმის ოცი წელია მოღვაწეობს სატრანსპორტო და სამრეწველო დიზაინის სფეროში. იგი წლების მანძილზე სისტემატურად მონაწილეობდა და მონაწილეობს საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის თუ საერთაშორისო მასშტაბით მოწყობილ გამოფენა-კონკურსებში და მნიშვნელოვანი აღიარებები აქვს მოიპოვებული.

დიზაინერი თანაბარი დატვირთვით და გატაცებით ქმნის მსოფლიოში აღიარებული მსუბუქი და სამხედრო ავტომობილების, თვითმფრინავების ბრენდების დიზაინს, საცხოვრებელი სივრცის ინტერიერს, ფურნიტურის, დეკორატიული ნაკეთობისა თუ უტილიტარული ნივთის მოდელებს. მისი იდეებით, პროექტებით ერთ ნაწარმოებად ჩამოყალიბებული, ფუნქციონალურად ორგანიზებული მოცულობები იქმნება. მათი არქიტექტონიკა მრავალფეროვანია, დახვეწილია და ჟანრის კანონების შესაბამისად ვითარდება.

ფაქტი, მრავლისმთქმელია და კომენტარს არ საჭიროებს.

დიზაინერ ზვიად ციკოლიას შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხაზია, საათების შვეიცარულ ბრენდის - Uniq Watches-ს დიზაინის წარმოჩენა.

დიზაინერის - მრავალმხრივი შემოქმედის - ხასიათისა და სტილის შერწყმა, ჭეშმარიტად ჰარმონიულია თავის კონტრასტულობაში. ის, რაზეც თქვენ მხოლოდ ოცნებობდით, რაც აბსტრაქტულად შეგეძლოდ წარმოგედგინათ - უკვე ძვირფას მასალაშია განსხეულებული... ყოველი დეტალი ემოციაა - გაშიშვლებული ფოლადის ძარღვის უპირობო რეფლექსია...

ესთეტი მარგინალი, ზვიად ციკოლია, ფაქტურული ნაკეთობების შექმნისას, სტილთან და მასალასთან „თამაშით“, როგორც ჩანს, დიდ სიამოვნებას იღებს და უზადო გემოვნებით განიარაღებთ. განხორციელებული ნამუშევრების ვიზუალი, იდენტური სიმძაფრით ანცვიფრებს, როგორც ობივატელს, ასევე ხელოვნების დახვეწილ შემფასებელს.

დღეს მოდა დემოკრატიულია, ამიტომ ძნელია დაასახელო რომელიმე ერთი მიმართულება დიზაინში. სტილი, იდეა, მხატვრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები მრავალფეროვანია. ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ და რაციონალურ მიდგომას, ვინაიდან საბოლოო ჯამში მომხმარებელი მაინც მიილტვის უნივერსალური დიზაინისკენ.

ზვიად ციკოლიას მიერ შექმნილი Uniq Watches-ს ახალი მოცულობითი კომპოზიციები მასისა და ფორმის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმაწარმომქმნელ საწყისს სკულპტურული, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს, რომელიც სამხედრო ტექნიკასთან და დიზაინთანაა ასოცირებული. დიზაინის სახე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიური გადაწყვეტებით არქიტექტონიკური რითმებით იქმნება. პროპორციები და დიზაინი კომპოზიციური მთლიანობის გამსაზღვრელია. გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ფონზე ავტორი საინტერესოდ ორგანიზებულ კომპაქტურ კომპოზიციას ქმნის, რომელიც ორგინალური მიგნებებით და თვითმყოფადობით გამოირჩევა.

გამოყენებულ დეკორზე არ ბატონობს წუთიერი მოდა. ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხეულებული. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თუ ტრადიციულის სულიერება შეიგრძნობა და ვისაც შესწევს უნარი შეიგრძნოს ეს სილამაზე - ეძლევა შანსი დატკბეს საგნობრივი სპექტაკლით.










ზვიად ციკოლიას სტუდიაში შექმნილმა საათების უნიკალურმა კოლექციებმა: UNIQ P-47; UNIQ GAF44; UNIQGAF44 Black IP; UNIQM21; UNIQ CATERHAM; JUST UNIQ; SEVEN - სამხედრო დიზაინერული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები შეისისხლხორცა. ამავდროულად, რაღაც რადიკალურად ახალს ასხივებს. ყოველი მათგანი ღრმად გააზრებული, იდეალურად შესრულებული ნაკეთობაა.

ზვიად ციკოლიას შემოქმედებითი წარმატებების არეალი ფართოა. ამ ფაქტს, 2006 და 2014 წლებში შემდგარი დიზაინის სფეროში უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის - reddot design award -ის შედეგები მოწმობს. კონკურსში მსოფლიოს უამრავი ქვეყნის მოწინავე დიზაინერები მონაწილეობენ. შედეგები ჯერდება საერთაშორისო ჟიურის მიერ. ზვიად ციკოლია კონკურსის სერიოზული ტიტულების - winner 2006-ს და winner 2014-ს მფლობელია.

www.tsikoliadesign.com
www.uniqwatches.com








# Tsikolias Uniq Watches

UNIQ company was established by Transportation and Industrial Designer Zviad Tsikolia in order to create unique, limited edition, high quality Swiss Made watches. Each model must be outstanding and part of a private collection. Moreover these series of watches should be affordable for consumers.

Zviad Tsikolia got world's most prestigious "Red Dot" design award in 2006 and on 2014

www.tsikoliadesign.com
www.uniqwatches.com







# თენგიზ მახარაშვილი - ხატვა ჩემი გატაცებაა

მისთვის შემოქმედებითი თავისუფლება ბუნებრივი შინაგანი მდგომარეობაა და პიროვნულ თავისუფლებასთან ასოცირდება. თენგიზ მახარაშვილი საკუთარ თავს, ნახევრად ხუმრობით, შემოქმედების დიდ სივრცეში „მოხეტიალე ხელოვანს“ უწოდებს. პროფესიით არქიტექტორი, შესანიშნავი ფერმწერი და გრაფიკული ნამუშევრების ავტორია. ქმნის საინტერესო მოცულობით-არქიტექტურულ პროექტებს, ინტერიერის დიზაინს და ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან არქიტექტორთა შორის, რომლებიც ლანდშაფტის დიზაინის სფეროში აქტიურად მოღვაწეობენ. იგი სამეცნიერო დოკუმენტური ფილმების შექმნაშიც კი იღებდა მონაწილეობას.

განვლილი ათწლეულის მანძილზე მისი გატაცება სახვით ხელოვნებაში მინიატურულ და დაზგურ თანამედროვე ფერწერაში, ფერად გრაფიკაში, პოპ-არტში გამჟღავნდა და წარმატებებსაც მიაღწია, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ამის დასტურია ათეულობით პერსონალური გამოფენა, მათ შორის, ევროპის მნიშვნელოვან ცენტრებში (პარიზი, რომი, ვენა, ბერლინი და ა.შ.). გაიზარდა საზოგადოებისა და დამთვალიერებელთა დაინტერესებაც. ძალზე თბილი და დადებითია, როგორც ნაცნობ, ასევე სრულიად უცნობ რესპონდენტთა გამოხმაურებები, პრესისა და მასმედიის შეფასებები.

ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი აღიარების დასტურია, აგრეთვე იუნესკოსა და კულტურათა დიალოგის სექციის დაფინანსებით გამოცემული თენგიზ მახარაშვილის ძალზე საინტერესო სქელტანიანი, ფერადი შემოქმედებითი ალბომი (2012 წ.), რომლის 220 გვერდი დათმობილი აქვს მისი შემოქმედების ყველა მიმართულებას, მათ შორის მოცემულია ხელოვნებათმცოდნეების რეცენზიები, ინტერვიუ მხატვართან, აგრეთვე ბიოგრაფიული, პერსონალური და ჯგუფური გამოფენების მონაცემები.

რამდენიმე თვის წინ, კი თენგიზ მახარაშვილის მორიგი აღიარება გახდა მოწვევა ნიუ-იორკის ბროდვეი გალერეიდან, რომლის მენეჯერი წერს: „თქვენი ნამუშევრები ძალიან შთამბეჭდავია და ჩვენ დიდი სიამოვნებით გამოვფენთ მათ, ეს იქნება უნიკალური შესაძლებლობა, რომ წარმოაჩინოთ თქვენი შემოქმედება და მოიპოვოთ საერთაშორისო აღიარება“.

ამ მეტად მნიშვნელოვანი გამოფენის მზადების ფარგლებში ბატონმა თენგიზმა გამოსცა შინაარსობლივად და ხარისხობრივად განახლებული შემოქმედებითი ალბომი.

ჩვენ შევეცადეთ მხატვართან ერთად თვალი გადაგვევლო მის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზისთვის.



ნინო ლალიძე: საინტერესოა, როგორ ტრანსფორმირდებოდა თქვენი შემოქმედება დროსა და სივრცეში და იქონიეს თუ არა თქვენზე გავლენა ცნობილმა მხატვრებმა?

თენგიზ მახარაშვილი: თავისი ხელწერის ძიებაში დიდი მხატვრებიც სხვადასხვა მიმართულებისა და შემოქმედის გავლენას განიცდიდნენ. მით უმეტეს, ძიების პროცესი ჩემთვისაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყო. დავიწყე ზეთით, გავიარე კოპირებისა და მიბაძვის ეტაპები. შემდეგ პასტელიც ვცადე. ამ პროცესის ერთ-ერთ ეტაპზე ჩემი ყურადღება მიიქცია მინიატურულმა ფერწერამ, რომელიც სამწუხაროდ რამდენადმე მივიწყებული იყო. ამასთან თავისი არსით მინიატურა, ეს ქართული ფესვებია და იძლევა ისტორიული თემების, ლეგენდების, ხალხური თქმულებების, ზღაპრების, ლიტერატურისა და პოეზიის ილუსტრირების, თანამედროვე თემების შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობას. მინიატურული ნამუშევარი მოითხოვს შეკრულ, გაწონასწორებულ კომპოზიციას, მკაფიო ნახატს, ნათელ ფერადოვან გამომსახველობას, ხაზობრივი სივრცის დინამიურობას.

ნ.ლ.: როგორია თქვენი შემოქმედებითი სამზარეულო და მინიატურული ფერწერის შესრულების სპეციფიკა?

თ.მ.: შემოქმედებითი სამზარეულო თითოეულ მხატვარს ინდივიდუალური აქვს, თუმცა პროცესის ცალკეული დეტალები შეიძლება მსგავსი იყოს. ნახატის იდეა კარგა ხანს მიტრიალებს თავში. შეიძლება რამდენიმე თემაც იყოს ერთდროულად. წარმოსახვაში, სივრცეში ხდება აზრის მომწიფება. მინიატურული ფერწერა საკმაოდ შრომატევადია, ხანგრძლივი პროცესია და რამდენიმე ეტაპისგან შედგება. საქმე გვაქვს მრავალფიგურიან კომპოზიციასთან, დეტალური ესკიზების, ფერის განსაკუთრებული ჟღერადობის აუცილებლობასთან და ა.შ. ალბათ ამიტომაც თანამედროვე



ზამთარი ბაკურიანში; 30X42 მუყაო, ტემპერა. 1988
WINTER IN BAKURIANI; 30X42 CARDBOARD, TEMPERA



წაქცეული ქალაქი; 128X47 მუყაო, ზეთი. 2011
FALLEN CITY; 128X47 CARDBOARD, OIL;



მადამ ჟოზე; 40X84 მუყაო, ზეთი
MADAM JOSSE; 40X84 CARDBOARD, OIL; 2013



მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ეს ფიროსმანის მოხატულია; 65X130 მუყაო, ზეთი
SONG ABOUT FIROSMANI 65X130 CAEDBOARD, OIL; 2014

მხატვრები იშვიათად მიმართავენ მინიატურას, ისინი ხომ ძალიან სწრაფად მუშაობენ.

ნ.ლ.: ნახატზე მუშაობისას რა ფაქტორები გეხმარებათ, რა სიტუაციაში გიყვართ ხატვა?

თ.მ.: როგორც წესი, თუ ამის საშუალება აქვთ, მხატვრები სახელოსნოში მუშაობენ. ჩემს შემთხვევაში შეიძლება ითქვას - ანომალიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. 1987 წლიდან მაქვს სახელოსნო, ჯერ ნუცუბიძის პლატოზე, შემდეგ სახლთან უფრო ახლოს ფანასკერტელის ქუჩაზე. ორივე შემთხვევაში ეს იყო მხოლოდ ე.წ. შავი კარკასი, რომელთა მოწყობას დიდი დრო და ენერგია მოვახმარე, მაგრამ დღემდე სახელოსნოში ერთი ნახატიც კი არ დამიხატავს. ვერ შევეგუე მყუდრო გარემოში მუშაობას, ამიტომ მთელი ცხოვრება სახლში, მისაღები ოთახის ჩვეულებრივ მაგიდაზე, ძალზე შეზღუდულ პირობებში ვმუშაობ. ამით გარკვეულ დისკომფორტს ვუქმნი ოჯახს, მაგრამ ამ გარემოს გარეშე მე ვერაფერს ვაკეთებ. ბევრი მხატვრისთვის და ჩემთვისაც სასიამოვნოა მუშაობის დროს მუსიკის მოსმენა. ნახატის შექმნის პროცესში საკმაოდ დამუხტული ვარ. მთელი თავისუფალი დრო, შემიძლია გადაბმულად ვხატო, სანამ ნამუშევარს არ დავამთავრებ, მაგრამ ნახატის დასრულებისთანავე მისდამი ინტერესი ფაქტობრივად ქრება, რადგან ახალ ნახატზე ვიწყებ იმავე პროცესს.

ნ.ლ.: ბევრი პერსონალური გამოფენა გაქვთ მოწყობილი, მათ შორის ევროპის ქალაქებში. რამ გამოიწვია მათი ასეთი დაინტერესება?

თ.მ.: ნახატებისთვის, მისი „სიცოცხლისთვის“ აუცილებელია სივრცე, კედელი, ექსპონირება. სახელოსნოს კუთხეში ან სხვა სათავსში დასაწყობებული ტილოები მომაკვდავ, მიტოვებულ არსებებს მაგონებს, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს კარგ ნამუშევრებთან. მეც, როცა დამიგროვდება ახალი და მნიშვნელოვანი ნამუშევრები, სურვილი მიჩნდება მათი გამოფენისა. დამთვალიერებელთა აზრის განზოგადება საშუალებას იძლევა დაინახო ის კარგი და ცუდი, რასაც თვითონ ვერ ამჩნევ. ევროპის მნიშვნელოვან ქალაქებში: პარიზში, რომში, ვენაში, ბერლინში და ა.შ. გამოფენები ოფიციალური მოწვევით იმართებოდა და როგორც გაირკვა ჩემი ნახატებით დაინტერესება გამოიწვია მინიატურული ფერწერის შესრულების მანერამ, ნაციონალურმა თემატიკამ და კოლორიტმა. მნახველები, როგორც პირადად, ისე წერილობით გამოხატავდნენ თავიანთ დადებით აზრებს და ემოციებს. ამის პირდაპირი დასტური იყო ისიც, რომ ნახატები კარგად იყიდებოდა.

ნ.ლ.: წარმატებული აღმოჩნდა თქვენი ზეთში შესრულებული თანამედროვე ფერწერა, ფერადი გრაფიკა და პოპ-არტი. ხომ არ ულალატეთ თქვენს ძირითად მინიატურულ ფერწერას?



კომპოზიცია; 35X45 მუყაო, ზეთი
COMPOSITION; 35X45 CARDBOARD, OIL; 2012



ფიროსმანი და ანგელოზი; 32X25 მუყაო, შერეული ტექნიკა
PIROSMANI AND ANGEL; 32X25 CARDBOARD, MIX



გოგონები ვიოლინოთი; 25X25 ქაღალდი, შერეული ტექნიკა
GIRLS WITH VIOLIN; 25X25 PAPER, MIX



ფერადი სიზმარი; 74X75 ტილო, ზეთი, 2012
COLORED DREAM; 74X75 CARDBOARD, OIL; 2012



ღამის პაემანი; 42X35 მუყაო, ზეთი, 2010
NIGHT MEETING; 42X35 CARDBOARD, OIL; 2010

თ.მ.: ჩემს შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული არ ხდება. მხატვრები ხშირად მუშაობენ სხვადასხვა ჟანრში. ცნობილია, რომ პიკასო კერამიკას და მცირე ქანდაკებებსაც კი აკეთებდა. ჩემთვისაც, როგორც რიგითი მხატვრისთვის, საინტერესოა სხვადასხვა ჟანრში მუშაობა. ამიტომაც დიდი სიამოვნებით ვხატავ ზეთში თანამედროვე თემატიკაზე, ვაკეთებ ფერად გრაფიკულ ნამუშევრებს. პოპ-არტის ჟანრიც ძალიან საინტერესოა.



წითელი ფანჯარა; 33X39 მუყაო,ზეთი, 2010
RED WINDOW; 33X39 CARDBOARD, OIL; 2010

ნ.ლ.: თქვენი აზრით, როგორია თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების პერსპექტივები?

თ.მ.: ამ კითხვაზე ხელოვნებათმცოდნეებს შეუძლიათ კომპეტენტური პასუხის გაცემა. ჩემი აზრით კი ზოგადად სახვითი ხელოვნება კარგა ხანია კრიზისს განიცდის. XIX-XX საუკუნის დასაწყისში ბევრი მნიშვნელოვანი მიმართულება ჩამოყალიბდა და განვითარდა. ბოლო ათეული წლებია ეს პროცესები შენელდა და ახლის ძიების პროცესი თითქოს ჩიხში შევიდა. დღეს ძველი მიმართულებების თანამედროვე ინტერპრეტაციების პროცესია. რის მცდელობა საუკუნეების მანძილზე ფერწერული და სხვა ნამუშევრების კედლებთან, გალერეებთან და ა. შ. ასოცირებული სტერეოტიპის შეცვლისა (ინსტალაცია და სხვა), მაგრამ ჯერ-ჯერობით რაიმე გარღვევა არ მომხდარა.

ნ.ლ.: სამომავლოდ, ხომ არა გაქვთ რაიმე მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი?

თ.მ.: ჩანაფიქრი და სურვილები ყველას აქვს, მათ შორის მეც, მაგრამ რას შევძლებ და რას არა, ეს რთული სათქმელია. ჩემი ინტერესი დიდი ხანია კინოსთან არის დაკავშირებული. თავის დროზე, კინომოყვარულის დონეზე, პატარა სიუჟეტებსაც ვიღებდი. შემდეგ, მოხდა, ისე, რომ ცნობილ კინოდოკუმენტალისტს გია ჭუბაბრიასთან ერთად გადავიღე დოკუმენტალური ფილმი „ჩუქურთმის საგალობელი“, რომელიც ეხება ჩემს მიერ სერბიის ტაძრების ფასადებზე აღმოჩენილ ქართულ ჩუქურთმას. სულ მიკვირდა, ჩვენმა კინორეჟისორებმა აქამდე, რატომ არ გადაიღეს ფილმი გენიალურ გალაქტიონზე. ბოლო პერიოდში ამ თემით ვარ დაინტერესებული და არსებულ, მდიდარ ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით, ვცდილობ დავწერო სცენარი ამ დიდი შემოქმედის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაზე.

ესაუბრა ნინო ლალიძე



სერია - "პური ჩვენი არსობისა"; 30X35 მუყაო. 2009
SERIES -"OUR DAILY BREAD"; 30X35 CARDBOARD;



ურბანული კომპოზიცია; 30X37 მუყაო, ზეთი, 2005
URBAN COMPOSITION; 30X37 CARDBOARD, OIL; 2005





# ქართული მხატვრობა სოთბის აუქციონზე



25.11.2014 სოთბის აუქციონზე „Contemporary East“ გაიყიდა მერაბ აბრამიშვილის ორი ნამუშევარი „ასკილი“, ლოტი №343 და „სულიწმინდა“ - №344. ორივე ნამუშევარი წარმოდგენილი იყო კვიპროსის კერძო კოლექციიდან, სადაც 2001 წელს გაიმართა მერაბ აბრამიშვილის და ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა. ნამუშევრების ესტიმეიტი შეადგენდა:

„ასკილი“ (8 000 - 12 000 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი, გაიყიდა - 30 000), „სულიწმინდა“ (15 000 - 20 000, გაიყიდა - 41 250). მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი „კუმაუნის კაციჭამია“ პირველად წარმოდგენილი იყო 2013 წელს სოთბის სააქციონო სახლის გამოფენაზე „გზაჯვარედინზე. თანამედროვე ხელოვნება კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან“ და 2014 წელს „სამოთხე“ გამოფენაზე „გზაჯვარედინზე 2. სტამბულიდან ქაბულამდე“ გამოფენებზე მხატვარი წარადგინა „ბაია გალერეამ“. ამ გამოფენაზე გაყიდული ნამუშევრების ფასები კონფიდენციალურია. მისი ნამუშევარი „პიანინო“ (ფინეთის კერძო კოლექციიდან) მონაწილეობდა 2013 წლის აუქციონზეც „Contemporary East“ და გაიყიდა (17 000).

# Georgian Art at the Sotheby's auction

Two works of Merab Abramishvili "Dog Rose" lot #343 and "Holy Spirit" lot #344 were sold at the Sotheby's auction "Contemporary East" held on 25.11.2014. Both works were presented from the Cyprus private collection where in 2001 Merab Abramishvili's and Levan Margiani's works were exhibited. The estimate of the works was as follows: "Dog Rose": 8,000 - 12,000 GBP, lot sold for 30,000 GBP, and "Holy Spirit": 15,000 - 20,000 GBP, lot sold for 41, 250 GBP. Merab Abramishvili's work "Maneater of Kumaon" was initially presented at Sotheby's auction house "At the Crossroads: Contemporary Art from the Caucasus and the Central Asia" in 2013 and at the Exhibition "Paradise" held in 2014 the painter presented Baia Gallery "At the Crossroad 2: From Istanbul to Kabul". The prices of the works sold at the said exhibition are confidential. His work "Piano" (from Finland's private collection) participated in the auction "Contemporary East" held in 2013 and was sold for 17,000 GBP.



დაბრუნება



# ფერებში არეკლილი სამყარო







2014 წლის 11 დეკემბერს, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე (№23) მხატვარ ლევან ლაღიძის გალერეა Lagidze Gallery გაიხსნა.

ავტორმა ახალი ნამუშევრების სერია სახელწოდებით „დაბრუნება“ და საავტორო კალენდარი „CalendArt 2015” წარმოადგინა.

ლევან ლაღიძის შემოქმედება – ეს ფერწერაში გადატანილი აბსოლუტური მუსიკალური სმენა და უდიდესი სიფაქიზით გამოძერწილი გრძნობიერი ფორმებია. მხატვრის ტილოებზე ფერთა შრეების ურთიერთობები – ფსიქოლოგიზმი – ერთი საგნობრივი თუ წარმოსახვითი მომენტის განსაზღვრას განსაკუთრებულობას მატებს და აღქმისას შემეცნებითი სიამოვნების გამომწვევია.

ტილოზე დინამიური სახვითი მოტივი, როგორც ფერის მოძრაობის შედეგი, უშუალოდ ჩვენს წინ აღმოცენდება. გამოსახულებები საერთო დინამიკაში განიბნევიან, ფონი ცალკე არსებობას წყვეტს. კონტური არ არსებობს... მთელი "ზედაპირი" ერთ რითმშია მოქცეული.

ცოცხალი სინათლით , ფერით, სივრცით შექმნილი კოლორიტი უჩვეულო ურთიერთდამოკიდებულებებით იგება და მხატვრის ღრმა, ფაქიზი სულიერი სამყაროს ანარეკლი "ბრუნდება" თვითმნყოფადი სახით...

ფოტოსურათები გადაიღო
გია ჩხატარაშვილმა











# აჩი აბრამიშვილის და ნიკუშა ამირხანაშვილის გამოფენა





2014 წლის 26 დეკემბერს ArtArea-ს საგამოფენო დარბაზში აჩი აბრამიშვილის და ნიკუშა ამირხანაშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიცია კოლორიტით და სიუჟეტის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. წარმოდგენილი ნამუშევრები უმეტესად აკრილის საღებავებით იყო შესრულებული.

აჩის და ნიკუშას შემოქმედებაში, ფერთა ფუნქციით, ფერთა წრის ერთიანობით, ფერთა ინერციული მოძრაობით ეფექტური ტრანსფორმაცია ხდება, რომელიც საინტერესო, ორიგინალური კომპოზიციის, პორტრეტის თუ მესიჯის სახითაა წარმოდგენილი.

მხატვრებისთვის პირველსაწყისი, თვითმყოფადი იდეაა, რომლის მომავალს ფერთაშეხამებაში ხედავენ. ფერწერა, მათთვის აზროვნების საშუალებაა. იგი ლაკონურად, ზუსტად აღიქმება და შესაბამის ემოციას იწვევს.

კვლავ, წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდებს!









# Art exhibition of Achi Abramishvili and Nikusha Amirkhanashvili





On December 26, 2014 opened the art exhibition of Achi Abramishvili and Nikusha Amirkhanashvili at ArtArea's exhibition hall.



















ᲛᲖᲘᲐ ᲓᲔᲓᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲐ

# გამოფენა, რომელმაც 60 მხატვარი გააერთიანა

გასული წლის დამლევს ფოლკლორის ცენტრში ჩატარებულ გამოფენაში, საქართველოს სხვადსხვა კუთხიდან – აფხაზეთიდან, აჭარიდან, ფოთიდან, შიდა ქართლიდან და თბილისიდან – სამოცი მხატვარი მონაწილეობდა. აქ არა მარტო პროფესიონალი, არამედ დამწყები მხატვრების სურათებიც გამოიფინა. გამოფენის მონაწილეები თვითნასწავლი მხატვრებიც იყვნენ.

ექსპოზიციას ქმნიდა ქართველი ფერმწერების, გრაფიკოსების, მოქანდაკეების ნამუშევრები. ღონისძიების ორგანიზებაც და დაფინანსებაც თავად მხატვრებმა მოახერხეს – არც სახელმწიფო სტრუქტურებს და არც ბიზნესსექტორს ამის სუვილი არ გასჩენია. პროექტის ავტორები და ორგანიზატორები, მხატვრები: კახა ხინველი, თემურ დვალიშვილი, გელა კენჭუაშვილი და გია მარკოზაშვილი იყ-








ნუცა მანჯგალაძე. ქალაქი. ტილო, ზეთი. 70X100 სმ. 2013



ბელა კანჭუაშვილი დეკორატიული ვოტივი

ვნენ. ეს ადამიანები ცდილობენ ფართო საზოგადოებას გააცნონ ნიჭიერი შემოქმედები.

მათი თაოსნობით 2014 წლის აპრილის თვეში, ერთი გამოფენა უკვე ჩატარდა, რის შედეგად ზოგიერთი მხატვრის ნამუშევარიც გაიყიდა.

საქმეს კი სულ რამდენიმე ადამიანი უძღვება: ნამუშევრების შეგროვება, დარბაზის დაქირავება, კატალოგის დაბეჭდვა – ეს და სხვა ფუნქციები გადანაწილებული აქვთ ერთმანეთში. ჯერ ორგანიზაციის სახით არ არის ამ კრეატიულ შემოქმედთა ქმედებები დაფუძნებული. შემდეგი გამოფენა 2015 წლის გაზაფხულზე გაიხსნება. მხატვრებს საქველმოქმედო სახიათის გამოფენების მოწყობაც აქვთ დაგეგმილი.



გიორგი თითმერიძე. მგელი



ტაპირი. გია მარკოზაშვილი



"მომღერალი". ტილო, ზეთი. კოლაჟი. 115X100. 2014. თემურ დვალიშვილი

# გია (გიორგი) ქურდიანი



საქართველოს არქიტექტურულ საზოგადოებას მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – გია (გიორგი) ქურდიანი გამოაკლდა.

გია (გიორგი) ქურდიანი — ქართველი არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი 1961 წლიდან. ღირსების ორდენის კავალერი, 2006 წლის საუკეთესო არქიტექტორი დაიბადა 1932 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში, ცნობილი ხუროთმოძღვრების, არჩილ ქურდიანის და ქეთევან ქურდიანის ოჯახში. გია იწყებს სწავლას მე-15 საშუალო სკოლაში, ხოლო 1950 წელს ამთავრებს მე-9 ვაჟთა გიმნაზიას.

1950 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, შემდეგ 1952 წელს გადავიდა არქიტექტურის ფაკულტეტზე და დაამთავრა 1958 წელს. სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე იწყებს შემოქმედებით მოღვაწეობას. არის მრავალი პროექტის ავტორი. მათგან უდიდესი ნაწილი იქნა განხორციელებული ნატურაში.

60-იან წლებში მამასთან ერთად მუშაობს ავტორად და პროექტის მთავარ არქიტექტორად თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტზე.

60-იან წლებში „დინამოს“ სტადიონი ველარ აკმაყოფილებდა თავისი ტევადობით მრავალათასიან გულშემატკივრის უდიდეს ინტერესს ფეხბურთისადმი. აუცილებელი გახდა ან ახალი სტადიონის აშენება, ან არსებული „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია-გაფართოება.

იმ პერიოდში აიკრძალა ნებისმიერი სპორტული ნაგებობის აშენება. თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის უფლება მიეცა მხოლოდ იმიტომ, რომ დასწრების მხრივ ეს სტადიონი ყოფილი კავშირის მასშტაბით, იყო კონკურს გარეშე.

რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ვარიანტი მთლიანად ინარჩუნებდა არსებული სტადიონის არქიტექტურას. პროექტი ითვალისწინებდა დიდ თაღედს, ხოლო არსებული სტადიონი უნდა ყოფილიყო ახლის ინტერიერში. სხვადასხვა მიზეზების გამო პროექტის პირველი ვარიანტი, გადაწყვეტილი ეროვნულ არქიტექტურაში უარყოფილ იქნა. შეიქმნა ახალი, თანამედროვე არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაგებობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 100 000 ადგილს. დაიწყო არსებული სტადიონის ნგრევა და ახლის აშენება, რომელიც კვლავ შეჩერდა. მოსკოვის წინადადებით ტევადობა უნდა შემცირებულიყო 75 000 მდე, მოიჭრა აშენებული კონსტრუქციები. ავტორების წინაშე დაისვა რთული ამოცანა, უმოკლეს ვადაში უნდა შექმნილიყო ახალი პროექტი. ავტორებმა არქიტექტორებმა არჩილ და გია ქურდიანებმა, ინჟინერ კონსტრუქტორ შალვა გაზაშვილმა ამჟერადაც მიაღწიეს დიდ გამარჯვებას 1976 წელს გაიხსნა დიდი ფეხბურთისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის კომპლექსი. ცენტრალური ეროვნული სტადიონი, სტადიონი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

სტადიონის რეკონსტრუქციის დროს და შემდგომ პერიოდში ქურდიანი მუშაობს სხვადასხვა ობიექტებზე.

მრავალსართულიანი მრგვალი გარაჟი ორთაჭალაში ვლ. მესხიშვილთან და გ. მებუკესთან ერთად. მრავალსართულიანი მრგვალი გარაჟი კრწანისში.

1967 წელს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის პირველი სასტუმრო სახლის რეკონსტრუქცია (არჩილ ქურდიან უფროსთან ერთად).

1981 წელს პირველი სასტუმრო სახლის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ხოლო 1998 წელს იგივე ნაგებობის რეკონსტრუქცია მის ვაჟთან არჩ. ქურდიან უმცროსთან ერთად.

მეორე სასტუმრო სახლი და გამაჯანსაღებელი კომპლექსი აბანო; ხელოვნური ტბა; მესამე სასტუმრო სახლი; რეზიდენციები: ბობოყვათში და ვარციხეში; მაღალი სტუმრების მიღების თეთრი დარბაზი ყოფილ მთავრობის სახლში; ცეკავშირის ხაზით, მთელი რიგი ობიექტებისა საქართველოს ყველა რეგიონში. რამდენიმე ათეული ობიექტთაგანი განხორციელებულია თავის ვაჟ არქიტექტორ არჩილ ქურდიან უმცროსთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მისი ობიექტის ინტერიერს და დიზაინს თვით ახორციელებს. იგი ქმნის ინტერიერს, ავეჯს, ჭურჭელს, სიმბოლიკას და სხვა.

სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პროექტის მთავარ არქიტექტორად, საპროექტო სახელოსნოს უფროსის მოადგილედ და უფროსად, საქართველოს მთავრობის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფოს მეთაურისა და პრეზიდენტის აპარატის, მთავარ არქიტექტორად. „გია და არჩილ ქურდიანების სტუდია «დინასტია»“-ს დაფუძნებიდან იყო, მისი გენერალური დირექტორი. 2006 წელს მას მიენიჭა წლის საუკეთესო არქიტექტორის წოდება. შემოქმედებითი ბიოგრაფია მოთავსებულია სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემებში, მათ შორის სპეციალურ გამოშვებაში „ვინ ვინაა“. „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“.

ჟურნალი „ სტილის“ რედაქცია, „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ და საქართველოს არქიტექტურული საზოგადოების სახელით, თანაგრძნობას უცხადებს გია ქურდიანის ოჯახს.









ოქროს კოლექცია FM-ზე
106.9 FM
106,9 FM
FORTUNA

# STYLE

სარეკლამო კომპანია



ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №70ა
style_inbox@mail.ru
558 28-29-30